გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N1 (9253) 10 იანვარი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

"მე ამისთჳს შობილ ვარ და ამისთჳს მოვივლინე სოფლად, რაჲა ვწამო ჭეშმარიტი"

3

ნათლისღებას გილოცავთ!



2018 წლის ჯადოსნური ღამე

2

მზია ჩიხლაძე "წლის ბებია"

9

2

ახალი წლის კვირაძალზე

ახალი წლის კვირაძალზე

თეა ბაბუნაშვილი

ჯერ კიდევ ორი დღე აკლდა ახალი წლის დადგომას, როცა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებში საჩუქრებით ხელდამშვენებულები დილიდან სიარულს შეუდგნენ. მთავარია, კეთილი გულით იყოს ნაჩუქარი, თორემ ფასს, მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ნუ იტყვით და, საკმაოდ ძვირიანი იყო საჩუქარი, ძვირიანზე უფრო საჭირო და აუცილებელი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის _ სარეცხის მანქანა, რომლის ღირებულებაც 600 ლარი გახლდათ.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მისი პირველი მოადგილე ირაკლი სულავა, მოადგილე დავით ბახტაძე, სოციალური სამსახურის უფროსი ლევან ახობაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ ლეჟავა, საკრებულოს წევრი მერაბ უღრელიძე, ნაადრევი მეკვლეები აღმოჩნდნენ ძველი და ახალი წლის გზაგასაყართან.

სოციალური სამსახურის უფროსი ლევან ახობაძე სიტუაციაში უკეთ გასარკვევად ამბობს: "წლის ბოლოს სოციალურად შეჭირვებული, უსახლკარო მოსახლეობის ბინის ქირით დაკმაყოფილების მუხლში დანაზოგი გვქონდა. გადავწყვიტეთ, ეს თანხა მათთვის ამ ფორმით "დაგვებრუნებია". სოლიდური საჩუქრები გამოგვივიდა. ოჯახების შერჩევა სოფლებში მერის წარმომადგენლებს მივანდეთ. ვინც ნახავს, ყველა დარწმუნდება, რომ არჩევანი სწორად გაკეთდა. მართალია, ყველას დახმარება ვერ შევძელით, ვინც ამას საჭიროებდა, მაგრამ, ბუნებრივია, მომავალში ისინიც დასაჩუქრდებიან."

გომში ჩაჩუების, ეწერში გრიგოლიების, საჯავახოში თევზაძეების მრავალშვილიანმა, მათთან ერთად დიდ ჯიხაიშში ლეჟავების, კულაშში ახალაძეების, იანეთში კოხრეიძეების, ნაბაკევში ჯულუხიძეების, მელაურში ბანძავების სოციალურად დაუცველმა ოჯახებმა ძვირადღირებული საჩუქარი მიიღეს.

ირაკლი სულავა გამგებლის პირველი მოადგილის რანგში ჯერ ისევ პირველ კომენტარებს იძლევა. როგორც ის აღნიშნავს: "ადგილობრივი მერიის გადაწყვეტილებით 20 720 ლარი გამოიყო მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი 8 ოჯახის დასახმარებლად. "მიდიას" ფირმის 6 კილოგრამიანი სარეცხის მანქანა, ყველა ოჯახისთვის ერთნაირად შეირჩა. ვფიქრობთ, საახალწლოდ ურიგო საჩუქარი ნამდვილად არ იქნება."

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია ჯერ ისევ ახალი წლის დადგომამდე უხვად გასცემდა საახალწლო მილოცვებს და აღნიშნავდა: "სიმშვიდის და ერთგულების წელი დგებაო, ამბობენ და ვისურვებდი, ეს წინასწარმეტყველება ყველა ოჯახისთვის, მთელი ქვეყნისთვის, ყველა ადამიანისთვის ასრულებულიყოს. რაც შეეხება ჩვენს საჩუქარს, დიახ, არცთუ ურიგოა, მაგრამ ვისურვებდი, მეტის შესაძლებლობა გვქონოდეს და უფრო უხვადაც გაგვეცეს. მომავალი წლები კიდევ უფრო უკეთესი ყოფილიყოს."

იმ სოფლებში მერის წარმომადგენლები და დეპუტატები საკრებულოში, რომლებშიც დასაჩუქრებული ოჯახები ცხოვრობდნენ, აცხადებდნენ, რომ თავად მოუგვარებდნენ ოჯახებს წყლისა და ავზის პრობლემებს, რაც აუცილებელია მანქანის გამართულად მუშაობისთვის. აღნიშნავდნენ იმასაც, რომ ყველა შემთხვევაში ისეთი ოჯახები შეირჩნენ, სხვებს პრეტენზიები რომ არ ჰქონოდათ.

აქცია, ახალი წლის კვირაძალზე რომ მოეწყო სამტრედიაში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. მუნიციპალიტეტის ხელისუფლება გამოთქვავს სურვილს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ბევრი საქველმოქმედო ღონისძიება გამართოს მომავალ ახალ წელს.

2018 წლის ჯადოსნური ღამე

ნინო ნანიტაშვილი

საახალწლო ღონისძიებამ სტარტი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან აიღო. მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციალურად საახალწლოდ მორთულ დილიჟანსში ისხდნენ სანტები, რომლებიც ცოცხლად ასრულებდნენ საახალწლო სიმღერებს, დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში და მოსახლეობას საზეიმო განწყობას უქმნიდნენ.

სანტების მსვლელობა საღამოს რვა საათისთვის დასრულდა. მუნიციპალიტეტის მერთან ერთად სანტებმა გადაინაცვლეს სპეციალურად მომზადებულ საახალწლო სოფელში, სადაც მთავარი თოვლის ბაბუა თოვლის ბებოსთან ერთად ტკბილეულის ნობათით ყველა პატარას ახარებდა. ჯადოსნური საახალწლო ღამე ქალაქში წელსაც გრანდიოზულად გაიმართა. მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და კულტურის სამსახურის ორგანიზებით მთელი დღე დატვირთული იყო სხვადასხვა საახალწლო ღონისძიებით, რომელშიც პირადად აქტიურად მონაწილეობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია.

სამტრედიის მერიისა და კულტურის სამსახურის ორგანიზებით 31 დეკემბრის ღამეს გამართულ კონცერტში ესტრადის ვარსკვლავებმა, "X ფაქტორისა" და პროექტ "ვოისის" ფინალისტებმა: ოთო ღურწკაიამ, თორნიკე ანდრიაძემ, მარიამ შარმანმა და გიორგი ლაფაჩიშვილი საახალწლო განწყობა შეუქმნეს სამტრედიელებს. საღამო მიჰყავდათ ქეთი აბრამიშვილსა და დავით თოდუას.

ჯადოსნური საახალწლო ღამე გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა, რომელმაც სამტრედიის ცას საზეიმო ელფერი მისცა და ქალაქს ახალი, 2018 წლის შემობრძანება აუწყა.

"მე ამისთჳს შობილ ვარ და ამისთჳს მოვივლინე სოფლად, რათა ვწამო ჭეშმარიტი"

შოთა ჯაჯავა

"და ჰრქუა მათ ანგელოზმან მან უფლისამან: ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა: რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა".
(ლუკა 2 : 11-12)

შობას ეკლესიებში სადღესასწაულო ლიტურგიით შეხვდნენ, დილაადრიან კი მრევლმა საწესო სიმღერით დაიწყო სვლა. 7 იანვარს სამტრედიის საკათედრო ტაძრის ეზოში შეკრებილი სამღვდელო პირები გაუძღვნენ მორწმუნეებს ქალაქის ქუჩებში. თვალშისაცემი მცირერიცხოვნობა ნელ-ნელა გაფერმკრთალდა. თანდათან იმატა მეალილოელთა რიცხვმა.

გალობდნენ თეთრსტიქაროსნები. მოძღვარი ნაკურთხ წყალს აპკურებდა შემხვედრ მომლოცველებს. ჰაერს გაერია საკმევლის საამო სურნელი და გვერდიგვერდ მომავალი სამტრედიელების ერთ რიგს მეორე მიემატა, მეორეს _ მესამე...

ყულაბასთან ბევრი შემომწირველის ხელი გამოჩნდა, თუმცა, შენობის კუთხეში სამოწყალოდ გამოწვდილი მარჯვენაც მოხვდა თვალს _ ნიკო ლორთქიფანიძის "საშობაო მინიატურების" თანადროულობა: "იქ, სადღაც შორს, ბეთლემში... ცამოჭედილ ღამეს მღვიმეში დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მაშვრალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემამსუბუქებელი, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი. აქ კი... დღეს..."

კვლავ საკათედრო ტაძარში მოიყარეს თავი მსვლელობის მონაწილეებმა. მრევლს ქადაგებით მიმართა დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე): "ქრისტეშობამდე აზროვნების ისტორიაში პრაქტიკულად თუ თეორიულად გამოხატული ყველა მცდელობა, შეემეცნებინათ ღმერთი, ეურთიერთათ ღმერთთან, იყო მარტოოდენ მიახლოებითი და არა ამომწურავი, ხოლო ქრისტემ განკაცებით მოგვცა უნიკალური შესაძლებლობა ღმრთეებრივი არსისაკენ სწრაფვისა და დაადასტურა: უფალი ესათნოება ადამიანს.

"ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე კი არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე". _ უნიკალური პასაჟი ოთხთავისა, რომელიც იოანე ღვთისმეტყველის სახარებაში წერია, ადასტურებს იმას, რომ ღმერთმა იმდენად შეიყვარა ისტორია, თავისი ძე მოავლინა მასში. ეს იყო ცენტრალური მოვლენა, რომელიც დაფიქსირდა. იმდენად ცენტრალური, რომ თვით დრო მიეძღვნა მას _ მოგეხსენებათ, თანამედროვე კულტურისა და ცივილიზაციების ისტორიაში ქრისტეს შობიდან იწყება დროის ათვლა.

ადამიანისა და ღმერთის შეერთება დროისა და მარადისობის შერწყმაა. ამ მოვლენის ცხადად განსაცდელად კაცი რწმენით უნდა იყოს აღჭურვილი. დღეს არსებობს სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მორწმუნეაო, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რწმენა მრავალგვარი არსებობს. შორს წაუსვლელად ვთქვათ, არ განვავრცოთ, არ დავაკონკრეტოთ, რწმენა შეიძლება სხვადასხვა ცრურწმენით ჩანაცვლდეს. ჭეშმარიტი რწმენის საზომი ისაა, რომ იგი უნდა იყოს მოქცეული სიყვარულის ღირებულებაში: სიყვარულისა, რომელშიც იგულისხმება არა სოციალური ერთეული, ოჯახი, მშობელი, დედმამიშვილი, არამედ _ რომელშიც ყველა ადამიანი გაიგივდება ერთ განსაკუთრებულად ფაქიზ ფასეულობასთან. დღეს ასეთი რწმენა დეფიციტურია. ამიტომაც ჩვენში ქრისტიანული დღესასწაულები არცთუ იშვიათად ასოცირდება მხოლოდ გასტრონომიური მოთხოვნილებების

დაკმაყოფილებასთან, ვიდრე დღესასწაულის არსის ათვისებასთან, ანუ ქრისტეშობა არის ღვეზლის დაცხობის საბაბი, აღდგომა _ კვერცხის შეღებვისა და ა. შ. დაე, მალე დამდგარიყოს საეკლესიო სინამდვილეში, ზოგადად, რელიგიურ სინამდვილეში ჟამი, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ზემოხსენებული ფასეულობები მართებულად რომ გაეცნობიერებინოს.

რწმენა ნიშნავს, მარადცოცხალი არსება ქრისტე შენს არსებაში გააცოცხლო. ცოცხალი რწმენა კი ნიშნავს, რომ შენ შეითვისო, საკუთარი არსებაში გადმოიტანო ქრისტეს თვისებები და შესთავაზო ადამიანებს. ეს არ არის მარტო სასულიერო პირების პრეროგატივა. ეს არის რიგითი ქრისტიანების შესაძლებლობაც. რიგით ქრისტიანსაც ძალუძს, საკუთარ თავში დაიტიოს ქრისტეს თვისებები, ზიარების ფენომენი სწორედ ამას ნიშნავს, როცა ჩვენ ვეზიარებით არა მატერიალურ განზომილებას საიდუმლოებისა, არამედ ვეზიარებით სულიწმინდას, რომელიც ადასტურებს ქრისტეს რეალობას.

ქრისტეს შობა მოვლენაა, როდესაც ღმერთმა ინება ადამიანი დაფასებულიყო, მისთვის მიენიჭებინა მარადიულობა, ის, რაც არ არის დროითი კატეგორია, თუნდაც ამოუწურავი, აბსოლუტური. მარადიულობა ეს არის ღმერთის შეგრძნება, რომელიც ადამიანში აღმოცენდება ღმერთთანვე ურთიერთობით. "სიცოცხლე ეს არის ღმერთის დიალოგი ადამიანთან, ხოლო უკვდავება _ ადამიანის დიალოგი ღმერთთან", _ ეს ფრაზა მარადიულობის უზუსტესი დეფინიციაა. დამბადებელმა გვარგუნა საბოძვარი, ახლა კი ჩვენი ჯერია, რომ რუდუნებით, თავდადებით, ქრისტესადმი, ერთმანეთისადმი სიყვარულით მივართვათ ღმერთს ჩვენი სიცოცხლე და ამით გავამარადიულოთ ის, დროებითობიდან გადავიყვანოთ უჟამო განზომილებაში. ქრისტეს განკაცების მოტივები სწორედ ეს იყო.

ადამიანის განღმრთობა დიადი რეალობაა, რომელიც თითოეული ჩვენგანის პიროვნულ მოცემულობაში ძევს. უბრალოდ, საჭიროა, ამოვზიდოთ, რათა თხემით ტერფამდე, გონებითა და გულით, გრძნობითა და სულით გავხდეთ ქრისტიანები და გავითავისოთ ქრისტეს განკაცების შედეგი, ქრისტეს შობის დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა.

გისურვებთ, ეს ყველაფერი ჩვენში თანმიმდევრულად განხორციელებულიყოს. ჩვენთან არს ღმერთი!"

მეუფე "სათნოების სახლში"

ნინო ნანიტაშვილი

ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველმა, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა მეუფე საბამ შობის მეორე დღის გატარება სამტრედიაში "სათნოების სახლში" განიზრახა. ვიდრე მეუფე შენობის მეორე სართულზე ავიდოდა და მოხუცთა თავშესაფრის ბინადართ შეხვდებოდა, მანამდე "სამტრედიის მაცნესთან" სპეციალური განცხადება გააკეთა. მაღალყოვლადუსამღვდელოესის კომენტარი შეეხებოდა ქრისტეშობის მილოცვას, ასევე "სათნოების სახლის" ბინადართა მიმართ კონკრეტული შობის დღესასწაულზე არასათანადო მოპყრობას და საზოგადოების გარკვეული წრის მისამართით გაკეთებულ ერთგვარ გაფრთხილებას: არავინ იცის, ვის არ გაუღიმებს ბედი.

ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველი შობის დღესასწაულთან დაკავშირებით სამტრედიის "სათნოების სახლს" და მის ბინადართ ყოველწლიურად სტუმრობს. მეუფე საბამ ახალი წლის დღეები წელსაც გაულამაზა იმ ადამიანებს, რომლებსაც ბედმა არგუნა, შობის ღამე საკუთარ ჭერქვეშ, ახლობლების გარემოცვაში გაეტარებინა.

ხონის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრის მგალობლებთან ერთად მაღალყოვლადუსამღვდელოესი შობის საგალობლების ფონზე "სათნოების სახლის" ბინადრებს საკუთარ ოთახებში ეწვია, სათითაოდ მოიკითხა ყველა მათგანი, გამძლეობა უსურვა და დაჰპირდა, მეუფე სტუმრობით მომავალშიც გაანებივრებთ.

მეუფე საბამ განსაკუთრებული სიყვარულით მოიკითხა გალინა ზაქრაძე, 99 წლის ქალბატონი, რომელსაც 2 აგვისტოს 100 წელი უსრულდება. მოხუცთა თავშესაფარი თითქმის 2 ათეული წელია სამტრედიაში ფუნქციონირებს. მას ამჟამად 22 ბინადარი ჰყავს. ყველაზე უფროსი გალინა ბებოა, ყველაზე უმცროსი 36 წლის თამუნა ცილიკიშვილი.

"სათნოების სახლს" იმ დღეს სტუმრად ეწვია და შობის დღესასწაული მიულოცა, ბებიების კონკურსში გამარჯვებულმა სამტრედიელმა მსახიობმა მზია ჩიხლაძემ.

შობის დღესასწაულს მხოლოდ სიტყვიერი მილოცვით არ ჩაუვლია. მეუფე საბამ 8 იანვარს თავშესაფრის ბინადართათვის სადღესასწაულო სადილი გამართა. ტრაპეზზე ეპარქიის მმართველის მხრიდან შეისვა უფლის, საქართველოს, პატრიარქის სადღეგრძელოები. მეუფე საბა ყველა სუფრასთან მიდიოდა, საკუთარი ხელით უმასპინძლდებოდა დღის გმირებს. "სათნოების სახლის" ბენეფიციარებთან ერთად მაღალყოვლადუსამღვდელოესმა პური გატეხა და მოხუცთა საპატივცემულოდ "მრავალჟამიერი" დააგუგუნა.

ინგლისურის ენის კლუბები ბრიტანული საბჭოსგან

თეა ბაბუნაშვილი

დიდი ჯიხაიში ერთ-ერთია ორსანტიას, ჩაქვს, კაბალას, წალკასა და ვალესთან ერთად, სადაც ბრიტანეთის საბჭო ინგლისურის ენის შემსწავლელ კლუბებს გახსნის. დიდ ჯიხაიშში იგი უკვე გაიხსნა. პროექტი ბრიტანეთის საბჭოს ორგანიზებით, იუსტიციის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს ერთობლივი მეთვალყურეობითა და მხარდაჭერით ხორციელდება. კლუბები იუსტიციის სახლებში იფუნქციონირებს, რადგან ყველა მათგანში მოწესრიგებული სიტუაცია და შეუფერხებელი წვდომაა ინტერნეტზე. ისინი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები, ოთახები შეხვედრებისათვის. ექვსივე საზოგადოებრივი ცენტრი სხვადასხვა ნიშნით შეირჩა, ორსანტია იმიტომ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება, კაბალი და წალკა ეთნიკური უმცირესობების სიმრავლის გამო, ვალე სასაზღვრო ზონაა, ჩაქვი ტურისტულად აქტიური რაიონი, დიდ ჯიხაიშს, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილს, მიენიჭა უპირატესობა.

გარდა იმისა, რომ ახალგაზრდებს ენის შესწავლაში საფუძვლიანად დაეხმარებიან, ინგლისურის სპეციალისტებზეც იზრუნებენ. მათი პროფესიული განვითარებისთვის აქ შესაბამისი ტრენინგები ჩატარდება.

ურთიერთშეთანხმებისა და თანამშრომლობის მემორანდუმს ჯერ კიდევ 2017 წლის 18 დეკემბერს მოაწერეს ხელი უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის _ "ბრიტანეთის საბჭო საქართველოში" დირექტორმა ზაზა ფურცელაძემ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა. მემორანდუმი გახსნილ კლუბებში ახალგაზრდების სრულიად უფასო სწავლებას გულისხმობს. ასევე უფასოდ ისარგებლებენ ისინი შესაბამისი ლიტერატურით, ონლაინ რესურსებით, აუდიო თუ ვიდეო მასალით. მონაწილეობას მიიღებენ ინგლისური ენის სხვადასხვა კონკურსში, გამარჯვებულთათვის გათვალისწინებულია სოლიდური პრიზები.

დიდი ჯიხაიშის იუსტიციის საზოგადოებრივ ცენტრს ინგლისურენოვანი კლუბის გასახსნელად სერვისების განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი დავით ახვლედიანი და "ბრიტანეთის საბჭო საქართველოში" წარმომადგენელი ზაზა სოფრომაძე ეწვივნენ. დავით ახვლედიანი ხაზს უსვამს, რომ: "პროექტი საპილოტეა. მისი ხანგრძლივობა სამ თვეს გასტანს. შედეგების შეჯამების შემდეგ გადაწყდება, გაგრძელდება თუ არა იგი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ გახლავთ პირველი პრეცედენტი იუსტიციის სახლში განხორციელებული პროექტებისა. საზოგადოებრივმა ცენტრებმა უკვე უმასპინძლეს ტრენინგებს ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, ქართული ენის შემსწავლელ კურსებს ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობისთვის და სხვა მსგავს პროექტებს. ინგლისური ენის შემსწავლელი კლუბებიც ერთ-ერთი მათგანია."

ზაზა ფურცელაძემ უფრო დაწვრილებით გააცნო შეკრებილებს პროექტის არსი და აღნიშნა, რომ იგი დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ. ენის შემსწავლელი კლუბის გარდა, პროექტის ფარგლებში, ამ დროისთვის განათლების სამინისტროს მასწავლებელთა გადამზადების პროფესიული ცენტრის მიერ შერჩეული ინგლისური ენის 22 პედაგოგი გადის ტრენინგებს ბრიტანეთში. "კლუბის ფარგლებში სამიდან ექვს საათამდე, ყოველდღიურად ორი ტრენინგი ჩატარდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის. გამოყენებული იქნება ჩვენს ხელთ არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრენინგები ენის მასწავლებელთათვის. დიდი მადლობა იუსტიციის სამინისტროს, რადგან პროექტის დაწყებიდან თვენახევარში მათ, ფაქტობრივად, ყველა საჭირო კომპონენტის ორგანიზება შესძლეს. ბუნებრივია, არაფერი გამოგვივიდოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივი რესურსცენტრების გარეშეც. მადლობა მათ დახმარებისთვის. დიდ ჯიხაიშში დღეს პირველ კლუბს ვხსნით. ვფიქრობთ, წარმატებული იქნება იგი. განსაკუთრებით პედაგოგებისთვის, რადგან მათ, ფაქტობრივად, სახლიდან, რაიონიდან გაუსვლელად შეუძლიათ კვალიფიკაციის ამაღლება." _ აღნიშნა ზაზა ფურცელაძემ.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსთან, ნატალია მანჯგალაძესთან, საკრებულოს წევრ გოგი ლეჟავასთან, დიდ ჯიხაიშში მერის წარმომადგენელ ნუგზარ ნუცუბიძესთან ერთად მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი ალექსანდრე თევზაძე ესწრებოდა, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ: "მართლაც დიდი შესაძლებლობაა ინგლისური ენის პედაგოგების შემდგომი განვითარებისთვის. როგორც კი გავავრცელეთ ინფორმაცია, დიდი ინტერესი გამოიწვია პედაგოგებისგან, არაფერს ვამბობ მოსწავლეებზე. ვთვლით, რომ ამგვარი სიახლეები, პროგრამები წინ წაწევს და გაამარტივებს ენის საფუძვლიანად შესწავლის შესაძლებლობებს."

პროექტით დაინტერესება შეკრებილი საზოგადოების სიმრავლით ცხადი გახლდათ. დამსწრეთაგან არაერთმა ახალგაზრდამ პროექტში ჩაბმის დიდი ინტერესი და სურვილი გამოთქვა.

პატრიარქის 2018 წლის საშობაო ეპისტოლე

“ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხაროდეთ!

“ამიერიდან შენ უკვე აღარ ხარ მონა, არამედ ძე, ხოლო თუ ძე ხარ, მემკვიდრეცა ხარ ღმერთის მიერ” (გალ. 4,7).

ახლა, ამ ღამეს, მთელ კაცობრიობას და თითოეულ ჩვენგანს კვლავ ეუწყება ანგელოზის საოცარი სიტყვები, პირველად ბეთლემელმა მწყემსებმა რომ გაიგონეს: “...მე გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი, რადგან დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი...” (ლუკა. 2.11) და მსოფლიოს კვლავაც ეფინება ზეციური საგალობელი: “დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება” (ლუკა 2.14).

ანთებული სანთლებით მწყემსებთან და მოგვებთან ერთად სულიერად ჩვენც გავეშუროთ ბეთლემისაკენ და მოვეახლოთ ყრმა იესოს, _ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ დავითის ძედ წოდებულს.

რატომ შეიყვარა ღმერთმა ასე დავითი? რატომ მიაგო გამორჩეული პატივი? შობის ადგილად მისი ქალაქი რატომ ირჩია და თავისი ხორციელი წარმომავლობა მას რატომ დაუკავშირა?!

პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი გახდა მეფე-რჩეული

დავითს ძლევამოსილობის მწვერვალებზეც და უდიდესი შეჭირვების ჟამსაც სულით ხორცამდე ჰქონდა განცდა იმისა, რომ ქვეყანაში თვითონ კი არ მეფობდა, არამედ, _ ყოვლადსახიერი უფალი. თავად კი იყო ოდენ მსახური და მისი ნების აღმსრულებელი, ამიტომაც თავმდაბლად სრულად იყო მასზე მინდობილი და უდრტვინველად ემორჩილებოდა. დავითს ჰქონდა დიდი შეცდომებიც, მაგრამ ჰქონდა გულმხურვალე, გულწრფელი, სულისშემძვრელი სინანული და ეს განცდა იმდენად ძლიერი იყო მასში, რომ სჭარბობდა ცოდვათა სიმძიმეს და მაგალითი გახდა დაცემულთა წამოდგომისა.

თავმდაბლობისა და გულშემუსვრილობის გამო მიეცა მას წინასწარმეტყველების მადლი და უფალთან პირდაპირი საუბრის ძალმოსილება, რითაც იქცა მეფობის, ღვთისმსახურებისა და წინასწარმეტყველების ნიჭთა შემომკრებად.

ამ თვისებათა გამო დაფასდა დავითი ღვთის თვალში.

***

ჩვენ ყველამ მშობლებისა და წინაპართაგან მივიღეთ გენეტიკური მემკვიდრეობა. ამ მემკვიდრეობის, გარემოებათა და პიროვნული არჩევანის მიხედვით კი ვყალიბდებით ინდივიდებად.

ეს შემოქმედებითი პროცესია, რადგან გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენი ქმედებების ნაწილი მოვიწონოთ, ნაწილი დავიწუნოთ, ზოგს განვერიდოთ, ზოგს მუდმივად ვებრძოლოთ... და ასე გავხდეთ თანამონაწილე ჩვენი “მე”-ს გამოძერწვისა.

ავს ვაკეთებთ თუ კარგს, ეს ყველაფერი შემდეგ იმ ქვეყნად აისახება და მთელი სისავსით გამოვლინდება; ამიტომაც ჩვენს ყველა ნაბიჯს და არსებობის ყოველ წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვმოქმედებთ გონებით, სიტყვით, საქმით, გრძნობით და პასუხს ვაგებთ ფიქრზე, რომელიც გონებაში გვაქვს, საქმეზე, რომელსაც ვაკეთებთ, ტკივილზე თუ სიხარულზე, რომელსაც განვიცდით, სიტყვაზე, რომელსაც ვამბობთ, მზერაზეც კი... რადგან ეს ჩემი აზრია, ჩემი გრძნობაა, ჩემი მოქმედებაა, ჩემი სიტყვაა, ჩემი განწყობაა. მე ვქმნი ამ ყოველივეს და ჩემს “მე”-დ. ჩემს ინდივიდუალურ ყოფად ვაქცევ.

წარმოიდგინეთ, მუდმივად რამდენი მიმართულებით ვავლენთ თავს. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში არც ვუკვირდებით და ვერ ვაცნობიერებთ, რას ვაკეთებთ, რატომ და როგორ ვმოქმედებთ. რა არის ჩვენთვის სასარგებლო ან უარსაყოფი, რა ითვლება სიმართლედ და სიკეთედ, როგორ ვიცხოვროთ, როგორ მოვიპოვოთ ბედნიერება? _ ეს კითხვები ფილოსოფოსთათვის საუკუნეთა მანძილზე განსჯის საგნად იყო ქცეული და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ქრისტიანობამ კი ყველასთვის გასაგებად მარტივად გასცა მას პასუხი: “შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი სულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და დიდი მცნება და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი” (მთ. 22, 37-39), ანდა “ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ” (მთ. 7,12).

მაგრამ ამგვარი ცხოვრების შედეგი არ არის მიწიერი ბედნიერება, სიმდიდრე და თანამდებობა, არც პატივი და უზრუნველი ყოფა.

ასეთი ცხოვრების შედეგი არის მარადიული ნეტარება, მარადიული სიხარულის განცდა და ანგელოზთა თანა ქრისტეს საუფლოში მყოფობა.

წუთისოფელში ყოველთვის იყვნენ და არიან ადამიანები, რომელნიც ამქვეყნიურ, წარმავალ კეთილდღეობას ირჩევენ ცხოვრების მიზნად და სხვა არც არაფერი სურთ. მაგრამ იყვნენ, არიან და იქნებიან ისეთნიც, რომელნიც ბედნიერებას უფალთან ერთობაში ხედავენ.

ასეთი აზროვნება ზოგიერთს ადრეული ასაკიდან უყალიბდება, ზოგი განსაცდელის შემდეგ ხდება მორწმუნე, ნაწილიც განსჯით ეძიებს და იმეცნებს ღმერთს, რომელთანაც სიახლოვეს მთელი ძალით ეკლესია შეგვაგრძნობინებს.

რა არის და რას ნიშნავს ეკლესია?

ეკლესია ღვთის მიერ მოწოდებულთა და მისი სიწმინდის გარშემო გაერთიანებულთა კრებულია.

პირველი ეკლესია ჩვენთვის უხილავია და იგი შემოქმედთან ანგელოზთა დასის ურთიერთობას გულისხმობს.

ადამს, ევასა და ღმერთს შორის დაცემამდელი კავშირი კი იყო ედემში არსებული ეკლესია, ანუ ის სივრცე, რომელშიც შემომქმედთან ჩვენი პირველშობილებისი ეკლესია კვლავ შენარჩუნდა აბრაამის და სხვა მამათმთავართა კრებულში; სჯულდებითი სახე კი მას სინას მთის გამოცხადების შემდეგ მიეცა.

I საუკუნემდე მთელს მსოფლიოში მხოლოდ ისრაელში არსებობდა ეკლესია, სადაც იდიდებოდა ჭეშმარიტი ღმერთი.

I საუკუნის დასაწყისში, სულიწმინდის მოფენის დღეს, _ დაარსდა ახალი აღთქმის ეკლესია, რომელმაც მაცხოვნებლობითი მადლმოსილება შესძინა იმ მსახურებას ძველი აღთქმის ეკლესიაში რომ აღესრულებოდა.

მისი მოწყობის წესი, იერარქია და საიდუმლოებები მაცხოვარმა თვითონ დაადგინა. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ მხოლოდ ეს ეკლესია არის მაცხოვნებელი, მარადიული სიცოცხლის წყარო და ემბაზი, რადგან იგი უშუალოდ იესო ქრისტეს მიერაა დაარსებული და მისი სისხლითაა გამოსყიდული. “კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას (მთ. 1,16), _ ბრძანებს უფალი.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს მძლავრობს პიროვნებაზე. მიუხედავად იმისა რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა, მისთვის უცხოა ჩვენი ნების რაიმე სახით შეზღუდვა (ცოდვა კი იმონებს კაცს და თავის მორჩილად ხდის), იგი კაცობრიობას და თითოეულ ჩვენგანს გადარჩენის გზებს უჩვენებს და გვთავაზობს თანამოღვაწეობას ჩვენს სულში და ჩვენს გარემოში გაბატონებული ბოროტი ძალის დასამარცხებლად. ამისთვის კი არ არის საკმარისი მხოლოდ ჩვენი სიტყვიერი აღმსარებლობა, არც ღრმა თეოლოგიური ცოდნა, არც წესების შესრულება, აუცილებელია ყოველი ჩვენგანის პირადი მოღვაწეობაც, ქმედებებში გამოვლენილი ჩვენი ბრძოლა გამარჯვებისათვის.

ამიტომაც ეწოდება ქრისტეს ეკლესიას მებრძოლი ეკლესია.

ხოლო ვინც ამქვეყნად ამ სულიერ ბრძოლაში არ მონაწილეობს და ცხონების გზას არ ადგება, თუნდაც ეკლესიაში რეგულარულად დადიოდეს და სასულიერო პირიც იყოს, ქრისტეს ცოცხალი და ცხოველმყოფელი ეკლესიის გარეთ დარჩება.

ვიტყვით იმასაც, რომ მებრძოლი ეკლესია იარსებებს მეორედ მოსვლის შემდეგაც, ოღონდ ახალი ფორმით, _ მოზეიმე ეკლესიის სახით, ცოდვებზე გამარჯვებულ ნათლის შვილთა და ღვთის ძეთა კრებულის სახით.

ასე რომ, ეკლესია ყოვლადწმინდა სამების მადლთან ანგელოზთა და კაცთა თანაზიარების ადგილია. იგი შესაქმის თანადროულია, ანუ სამყარო ეკლესიის გარეშე არ არსებობს!

ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ მებრძოლი, გადამრჩენელი, მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნი ვართ და ძალგვიძს, მოზეიმე ეკლესიის თანაზიარნიც გავხდეთ.

ქრისტეს ეკლესიის წევრობა ცოდვის მონობისაგან ჩვენს გათავისუფლებას, საკუთარი თავის ფლობას, სხეულზე სულის წარმმართველობას გულისხმობს.

წარმომავლობის, ეთნოსის, წარსული ცოდვილი ცხოვრების მიუხედავად ქრისტე არ ერიდება უდიდეს სიწმინდეში ჩვენს შეყვანას, ზიარების მადლით კი მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ვხდებით.

მაგრამ ამ სიწმინდეს გვთავაზობს არა პატივისათვის, არამედ პასუხისმგებლობისთვის, არა ბატონობისთვის, არამედ მოყვასზე ზრუნვისათვის, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად მეფე _ მსახურად ჩვენი წარმოჩენისათვის.

“მადლისა და სიმართლის უხვად მიმღებნი იმეფებენ სიცოცხლეში, იესო ქრისტეს მიერ” (რომ. 5, 17), _ ვკითხულობთ წმინდა წერილში, რადგან “უკეთუ დავითმენთ, მასთან (იესოსთან) ერთად ვიმეფებთ” (II ტიმ. 2, 12).

ქრისტიანად ყოფნა ნიშნავს ისეთი თვისებების ქონასაც, როგორიცაა, ერთი მხრივ, თავმდაბლობა, მეორე მხრივ, _ უშიშრობა და სხვისთვის თავგანწირვა; ერთი მხრივ, გულწრფელობა და უბოროტობა, მეორე მხრივ, _ სიბრძნე და გონიერება, სხვისი აზრის მოსმენისა და უმჯობესის გამორჩევის უნარი...

როდესაც ვუყურებთ ჩვენს თანამედროვე მდგომარეობას, ერთგვარი შიში და უკმაყოფილება გვიპყრობს, რადგან ქრისტიანული წესით ცოტა ცხოვრობს და ეკლესიის მაცხოვნებელ საოცარ წიაღს მოწყვეტილნი, ვითარცა ხის ნაფოტნი და ვაზის ნასხლევნი, სიცოცხლეს კარგავენ.

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და კაცობრიობის დღევანდელი მდგომარეობა მეტად მძიმეა. პიროვნება უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა და ღვთის მადლის გარეშე დარჩენილს, აღარ ძალუძს, თავი დააღწიოს შექმნილ მდგომარეობას; ინგრევა ოჯახები, უმეთვალყურეოდ რჩებიან ბავშვები; გამეფდა სიცრუე, ამპარტავნება, გაუტანლობა, ეგოიზმი, შური და ღვარძლი; ადამიანი ცდილობს, გაექცეს ამ რეალობას, მაგრამ გზაბნეული ხსნას ძირითადად ნარკოტიკის მოხმარებაში ხედავს, რითაც მდგომარეობას კიდევ უფრო ირთულებს.

აუცილებელია, შემუშავდეს ისეთი ნარკოპოლიტიკა, რომელიც ახალგაზრდებს დაიცავს და შექმნის უარყოფით განწყობას ამ უმძიმეს სენთან მიმართებით. ამასთან, უნდა აშენდეს სარეაბილიტაციო ცენტრები, სასკოლო ასაკიდანვე უნდა მოხდეს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და გატარება სხვა ღონისძიებები.

მაშინ, როდესაც ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, ყველას განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს, რათა აღნიშნული პრობლემებისადმი სწორი კომპლექსური მიდგომა განხორციელდეს და რეალური, შედეგის მომტანი ნაბიჯები გადაიდგას.

მაინც მწამს, ქვეყანა, რომელიც უფლისა და ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა და რომელმაც 2000 წლის მანძილზე რწმენისთვის თავგანწირვის მრავალი მაგალითი აჩვენა, ქრისტიანობისთვის მებრძოლ სულს კვლავაც შეინარჩუნებს და ცხონების გზას, ათას ქარტეხილთა მიუხედავად, არ დატოვებს.

ამის იმედს განსაკუთრებით მაძლევს ჩვენი მომავალი თაობა, საოცრად ნიჭიერი და ღვთისმოყვარე ჩვენი ბავშვები. დღეს, უპირველეს ყოვლისა, მათი ზეიმია და გულითადად ვულოცავ და ვლოცავ მათ.

ვლოცავ პატიმრობაში მყოფთ, სნეულთ და გაჭირვებულთ.

დღესასწაულს კიდევ ერთხელ ვულოცავ ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, ბერძნებს, უკრაინელებს, რუსებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, უდინებს, იეზიდებს, ქურთებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, ჩეჩნებს და ლეკებს, ყოველ სხვა მკვიდრთ საქართველოისა და საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ.

მაშ, “განვიშორნეთ უკუე საჭურველნი ბნელისანი, რათა შევიწყნაროთ დღე აღმოდაბადებისა” (იოანე თესალონიკელი).

ქრისტე იშვების, ადიდებდეთ! ქრისტეს ზეცით მოვალს, მიეგებვოდეთ!

ქრისტე ქვეყანასა ზედა არს, მადლით!

სიყვარულით თქვენთვის

მლოცველი,

ილია II

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

ვბერდებით და უინტერესონი ვხდებით?

“მალადა კულტურამ ყველა ფატბალ უნდა ცვლ ჰატივი”

ნათია ნაცვლიშვილი

ამას წინათ, ერთმა ჩემთვის ძალიან პატივსაცემმა ინტელექტუალმა მეორე ასევე პატივსაცემ მოაზროვნე პერსონაზე მითხრა: იგი უკვე დაბერდა და აღარ არის საინტერესო. წლებია, ეს სიტყვები ხანჯალივით მიტრიალებს გულსა და გონებაში... ყოველ ახალ წელს ერთით მეტს გვიმატებს წელს არსთაგამრიგე, ჩვენს “შუბლზეც დააგებს ლიანდაგებს”, ფეხებს წაართმევს შნოსა და სიმარდეს. მერე მოვა სიბერე და “გვაზომებს მოღრეცილ ნიღაბს”. არადა, რამდენი დაბერებული გენიოსი ქართველი ახსოვს საქართველოს, რამდენი ელვარე ფიგურა! უპირველესად ნიკო ნიკოლაძე მახსენდება, ქუჩაში შემხვედრი გერონტი ქიქოძე რომ გააოცა თავისი წლებთან შეუსაბამო ახალგაზრდული გულითა და ტვინით! “ნიკო ნიკოლაძეს რამდენჯერმე შევხვდი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, იმპერიალისტური ომის დროს ეს მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი ქარიშხალივით იჭრებოდა გაზეთ “საქართველოს” რედაქციის ოთახში, რუკას მივარდებოდა და ხელის ფართო მოძრაობით საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებზე იწყებდა მღელვარე და შთაგონებულ საუბარს.... 1925 წლის ზამთარში “ქართული წიგნის” გამგეობის კრებაზე შევხვდი, როცა სხდომის დასრულების შემდეგ ქუჩაში გამოვედით, შევჩივლე, ძალიან სუსხიანი ზამთარია მეთქი, მან მიპასუხა: 1859 წელს, როცა ქუთაისის გიმნაზიას ვამთავრებდი, ბევრად უფრო ცივი ზამთარი იდგა, მოწაფეები ფეხით გავდიოდით გაყინულ რიონზეო. მე უნებურად გაოცებით შევხედე ამ ახლად მოვლენილ პატრიარქ მათუსალას, რომელსაც საშუალო სასწავლებელი ბატონყმობის გადავარდნამდე გაეთავებინა, ახლა მხნედ მიაბიჯებდა რუსთაველის პროსპექტზე.” _ “ იგონებს გერონტი ქიქოძე. ამ საახალწლოდ გადავწყვიტე, ამ ეგზისტენციალურ საკითხზე გვემსჯელა და ჩემი გამორჩეულად საყვარელი რესპონდენტებისათვის მიმემართა შეკითხვით: ვბერდებით და უინტერესონი ვხდებით?

წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ანტონი (ვაშაკიძე):

“ზოგადად მოგახსენებათ, თაობათა შორის დამოკიდებულება, მამათა და შვილთა შორის პაექრობა მარადიული თემაა. სიბერის ფენომენს რაც შეეხება, სიბერე, ეს არის ცხოვრებისეული ეგზისტენციალური გამოცდილება, გამოცდილების დაგროვება, და მით უმეტეს, ამ ცხოვრებისეულ გამოცდილებას თუ ინტელექტი და სულიერება ახლავს თან, ეს მაღალი ინსტანციაა ადამიანური განზომილებისა. ჩვენ გვყავდნენ ახ-

ლო წარსულშიც ისეთი მამულიშვილები, რომელნიც სიბერეშიც და მოხუცებულობის ხანაშიც ამბობდნენ თავიანთ მამულიშვილურ და პატრიოტულ სიტყვას და მათი სიტყვა ექოსავით ჟღერდა ერში, ყოველთვის დასაფასებელი იყო და წონადი. პირიქით, მაღალმა კულტურამ ყველა თაობას უნდა სცეს პატივი. არსებობს გადმოცემა, რომ მაღალგანვითარებული ადამიანი უნდა აზროვნებდეს როგორც ყველა თაობის წარმომადგენელი, უნდა აზროვნებდეს ხანდახან ბავშვივით, ხან მოზარდივით, ხან ჭაბუკივით და ხანაც, მოხუცებულივით. ყველა ამ ასაკობრივ განზომილებაში უნდა გაიშალოს მისი მენტალობა და აზროვნება და ყველას პატივი უნდა სცეს და ასეთი უკიდურესი და რადიკალური გამორიცხვა სიბერისა და მოხუცებულობისა, ჩემი აზრით, უკულტურობაა.”

ბაჩანა ჩაბრაძე, საფრანგეთში მცხოვრები პოეტი: “ვფიქრობ, ასაკი არ ქმნის ადამიანს საინტერესოს ან უინტერესოს, ისევე, როგორც ხელოვნების ნაწარმოები არ არის აუცილებლად შედევრი, რადგან თანამედროვეა, ან _ ცუდი ხარისხის, რადგან წარსულისაა. პირ-

იქით, უამრავი შედევრია წარსულში, რომლებიც თავისთავად აწმყოსაც და მომავალსაც ეკუთვნის, და უამრავი უგემოვნო არტეფაქტია დღეს, რომლებიც წარსულსაც კი არ შემორჩება. იგივენაირად, ადამიანის საინტერესოობასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მხოლოდ არა ასაკი. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ვთქვათ, რომ რემბო, ყმაწვილი ქმნიდა შედევრებს, გოეთეს, ღრმა მოხუცსაც შეეძლო იგივეს კეთება, და აქ ასაკის მომენტი აშკარად საინტერესოა. თუმცა, ზოგადად, ხელოვანი იქნება თუ არა ის, ადამიანს საინტერესოს მისი საქმიანობა, ხასიათი, თავმდაბლობა და კეთილგანწყობა ქმნის. მაგალითისათვის, ახლახან საფრანგეთი დაემშვიდობა დიდ ადამიანს, გამორჩეულ ერუდიტს, მწერალსა და ფილოსოფოსს ჟან დ ორმესონს, რომელიც 92 წლის ასაკში უაღრესად საინტერესო პიროვნება გახლდათ.”

კონსტანტინე გამსახურდია უმცროსი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე:

“ზოგი დაბერებული კი არა, მიცვალებულიც უფრო აქტუალურია ცოცხალ “ახალგაზრდებზე”. თქვენ წარმოიდგინეთ, მინახავს ისეთნიც, არც ახალგაზრდობაში ექნა ღმერ-

თს და არც სიბერეში.

_ გახსოვთ, როგორი იყო ამ საკითხზე ზვიად გამსახურდიას აზრი?

_ არ მახსენდება რაიმე კონკრეტული აზრი, მაგრამ მისი ინტერვიუდან რომელიც გერმანულ ჟურნალს მისცა, მახსოვს ასეთი ფრაზა: “არ შეიძლება, რომ ჩვენს მშობლებზე ვთქვათ, რომ ისინი დაბერდნენ და საჭირონი აღარ არიან, მშობლებს თავიანთი ადგილი აქვთ ჩვენს ცხოვრებაში, მეუღლეებს და შვილებს ასევე თავიანთი.

ლევან ბერძენიშვილი, ფილოლოგი, რესპუბლიკური პარტიის” წევრი:

“პირიქით ვფიქრობ, ადამიანი ამ დროს უფრო საინტერესო ხდება. შემიძლია ასეთი ორი კაცი დავასა-

ხელო, ორივე ცოცხალია მადლობა ღმერთს. ერთი მწერალი გურამ დოჩანაშვილია, მართალია, ასაკში შედის, მაგრამ კიდევ უფრო და უფრო საინტერესო ხდება, მათ შორის, როგორც მწერალი, მეორეა ჩემი თანაპარტიელი, პროფესორი გურამ ბერიშვილი, რომელიც 82 წლისაა, 16 წლის ახალგაზრდის შემართება აქვს და გეგმავს 20 წლის შემდეგ როგორი “იქნება ჩვენი პარტია, ასე რომ, საინტერესო ხალხს ასაკი ვერას აკლებს...

ზაზა ადეიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: “რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას, სიბერე უინტერესობას არ ნიშნავს, პირიქით, მე ვაჟასკენ ვარ: “განა ყველა რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია?” სიბერე, ასაკი, სიჭარმაგე მოხუცებულობა გარკვეული გვირგვინია სიცოცხლის, ალბათ, ცხოვრება მართლაც აღმართია, მიდიხარ, მიდიხარ ამ აღმართზე და ასაკის მატება, სიბერე არის გარკვეული ზედა წერტილი, სიმაღლის დაპყრობა. სიბერეს შეიძლება გარკვეული ფიზიკური სიძაბუნე მოაქვს, ფიზიოლოგიურად ადამიანის ორგანიზმი ხუცდება და არა აქვს მოქნილობა და სისწრაფე სხეულსაც და შეიძლება, ტვინსაც, მაგრამ, თავად სიბერის ფენომენია იმდენად პატივსაცემი და აღგიძრავს ადამიანის მოწონებას, რომ უკანა პლანზე გადაიწევს ეს სიძაბუნე და ასაკის თანმხლები უსიამოვნებები! ბევრ რამეს ვერ ახერხებ 80-90 წლისა, მაგრამ შენ გაქვს ზურგზე მოდებული დიდი ხურჯინი, რომელშიც უკვე შენს მიერ დაგროვილი უამრავი საქმე მოგყვება და გიმაგრებს ზურგს. უნდა შეგეძლოს, მხცოვანის ჭაღარასა და ნაოჭებში ეს ნაკეთები საქმეები დაინახო. სიკვდილამდე ერთი თვით ადრე ვინახულე სამების პანსიონში რეზო ჩხეიძე და გურამ დოჩანაშვილი. გვერდიგვერდ იჯდა ეს ორი გენიოსი, ეპოქალური ადამიანი. 83-ის იყო ბატონი რეზო, მითხრა, მზად მაქვს სცენარი ფილმისათვის “სტალინი”, რომელიც იქ-



ნება ჩემი შემოქმედების პიკიო.

გავიზარდე ოჯახში, სადაც ბაბუები ახალგაზრდები იყვნენ, მეცხრე კლასამდე მყავდა ოჯახში პეპერა, მიყვარდა პეპერებთან საუბარი და უცებ 60-70 წლით უკან, ისტორიაში გადასვლა. ხშირად მეცხრამეტის დასასრული და მეოცის დასაწყისი გაუცოცხლებიათ მათ ჩემთვის. პეპერამ, ბართლომე ადეიშვილმა, მითხრა, 1924 წლის ავჯანყება რომ დამარცხდა, სარდალი, ქაიხოსრო, ქაქუცა ჩოლოყაშვილი საქართველოდან უნდა გაგვეპარებინაო, მაშინ ამ ავჯანყების ყველაზე ძლიერი ლოკაციები ყოფილა კახეთში, დუშეთში, იმერეთში _ ჭიათურასა და ვანში. მოგეხსენებათ, ბოლშევიკების რეპრესიულმა მანქანამ თავისი გაიტანა. ქაქუცა ემიგრაციაში წავიდა, ჩემი დიდი ბაბუის მონათხრობით, ბათუმიდან ოსმალეთში სურდათ ქაქუცას გაყვანა, მითხრა, ავჯანყების მონაწილეთა ჯგუფს, სერგი თვალაბეიშვილთან ერთად საჯავახოში, ერთ-ერთ ოჯახში ღამე გავუთიეთ და ვიცავდით, დილით კი გავაცილეთო. ბოლშევიზმის შეურიგებელი და დაუმორჩილებელი ამ ადამიანების გვარ-სახელები მოგვიანებით არქივში მოვიძიე. ეს ისტორიები დიდი ბაბუასაგან ბუხრის პირას მოვისმინე, ვიდრე არქივები გაიხსნებოდა და რეალურ სიმართლეს გავიგებდით. თუ არ მოხუცდა კაცი, დროის მანქანა ვერ გახდება ახალგაზრდობისათვის, მეორეა, როცა ცოცხალ ადამიანს ესაუბრები და ისტორიას ხელს ართმევ. ამ ურთიერთობისას რაღაც საკრალურთან გაქვს შეხება.”

ნინო ტონია წმინდა მოწამე ნაზარი ლეჭავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი: “ცალკეული ადამიანის და ერის დამოკიდებულება მოხუცებულობის ფენომენისადმი განსაზღვრავს მის კულტურას თუ მოქალაქეობრივ ხარისხს, ლოგიკა ამას გვკარნახობს: ასაკი და წელთა სიმრავლე ემპირიული გამოცდილებისა და ინტელექტ-

უალური ზრდის საწინდარია. თუმცა, “მოხუცებულობაი გონებისაი” ახალბედასაც ახასიათებს ისევე, როგორც ეს თვისება ამშვენებდა გრიგოლ ხანძთელს. ჩვენს საორიენტაციო და მაკორდინირებელ მოხუცებულს, ასდაორისა წლისა რომ აღესრულა სრული და წმინდა გონებით. ამავე გრიგოლ ხანძთელს გუარამ მამფალმა თავკერძობით ჰკადრა: “მსმენია, წელთა სიმრავლისაგან მამა გრიგოლს გონება მოჰკლებია და აჰა, ვიხილეო.” მამა გრიგოლმა თავმდაბლობით დაუდასტურა: შესაძლოა, ეს მართალი იყოს, მაგრამ, რასაც ვამბობ, სამართლიანიაო. მოხუცები ხშირად მიმართავენ ღირსებისა და დუმილის ესთეტიკას, ვინძლო, კედელს ცერცვი არ შეაყაროონ. მათ კარგად უწყიან კედლის ფუნქცია, მით უფრო, ყრუ კედლისა. სიბრძნის, ვითარცა პროდუქტის, იმავე “ცერცვის” შესარჩენად ღრმა ჭურჭელს, ანუ ღრმა გონებას ეძიებენ და არც ცდებიან. არც მარგალიტის დაფენაა სახარების მიერ საყოველთაოდ ბრძანებული.

ქრისტიანულ სამყაროში ხუცესი აირჩევა მოძღვრად, ეს უკვე ნიშნავს, რომ მას ასაკობრივი გამოცდილების გამო შეარჩევენ. მაჰმადიანურ პრაქტიკაში აღსაჰკალები ასევე უხუცესები არიან, ყველა ქვეყანაში არსებობს უხუცესთა საბჭო, რომელსაც ჭკუას ეკითხებიან და მის გადაწყვეტილებებს ენდობიან. ქრესტომათიულ და აქსიომატურ ჭეშმარიტებად არის აღიარებული ხუცესთა სიბრძნე. არსებობს გამოთქმა: თუ რწმენით ჰკითხავ, ყმაწვილისგანაც შეიტყობ ჭეშმარიტებას, ხოლო თუ გამომცდელად შეეკითხები, ბერიც კი დაიბნევა. ასე რომ, ყოველივეს საწინდარი მაინც გულწრფელობაა. სიბრალულს უფრო მეტად სკეფსისით განწყობილი, უნდობლობითა და დაუნდობლობით განმსჭვალული საზოგადოების ნაწილი იმსახურებს, ეს ბრბოს სინდრომი უფრაა. ეს კი არსებულ საკმაოდ სოლიდურ მორალურ- ეთიკურ პრობლემაზე მიანიშნებს, იდეალური მდგომარეობა კი ისაა, როცა ჰარმონია და ურთიერთპატივისცემა სუფევს სოციუმში. თაობათა შორის სიმპათია ცხოვრებისა და აზროვნების წესი უნდა იყოს, რითაც მოქალაქე სამყაროულ წესრიგს ერწყმის ე. წ. მსოფლიო სიმპათიის კანონის თანახმად.”

მივულოცოთ ჩვენს სამშობლოს!

ნათია ნაცვლიშვილი

ყველა წიგნი და რვეული დროებით დახურეს, ნაძვის ხე მათი პაწაწინა ხელებით მორთეს, ახლა ეს ენერგიული, წითლად სახეშეფაკლული, ჯანმრთელ-ტანმრთელი პატარები საახალწლო ლექსებს ამბობენ. “ მივულოცოთ ჩვენს სამშობლოს, დილა არის ახალი წლის”. მოგვილოცეს, გასული წელი გააცილეს, მამლის წელი წარმატებული იყო სკოლისათვის, ექვსი პირველკლასელი მიიღო ნიგორზღვის სკოლამ, ექვსივე მათგანი ახლა ომახიანად სიმღერასაც მღერის და ლექსსაც ამბობს. მერე სცენას უფროსკლასელების ცეკვა-სიმღერა ღუმელში აგუზგუზებული ცეცხლივით წაეკიდება. ეს ემოცია გარეთ გამეფებულ სუსხსაც ერევა და ყველა უსიამო განცდას, რაც კი შეიძლება გაგიჩნდეს ადამიანს. სხვა ხიბლი აქვს ამ სოფელს, მთებზე შეფენილ მიკროსასწაულს, აქ სხვაგვარი სიყვარულით უყვარს კლასელს კლასელი, მოსწავლეს მასწავლებელი. ფაქტობრივად, ყველა მათგანს კერძო რეპეტიტორი ჰყავს, როცა კლასში სამი ბავშვი უზის პედაგოგს, სწავლის ხარისხიც მაღალია. ინგლისური ლექსებითაც მოგვილოცეს ახალი წლის შემობრძანება პატარებმა. პედაგოგ მაკა გიორგაძის მოსწავლეებმა. თანამედროვე პოეტთა ლექსები შესანიშნავად წაიკითხა საბა თავაძემ. მოსწავლებმა ქართველ კლასიკოსთა ულამაზესი ლექსებით და სიმღერებით აგვიმაღლეს განწყობა. მეოთხე და მეცხრე კლასი არ ჰყავს ცხრაწლიან სკოლას. მერე რა, რომ თოვლის საბანი წლევანდელ ახალ წელს არ მოუსხამს ამ მთა-გორებს, რამაც სკოლის ოცდაექვსივე მოსწავლეს ოდნავ დასწყვიტა გული, მაგრამ თოვლის პაპა მაინც ეწვიათ, ხურჯინიდან საჩუქრები ამოალაგა და წარმატებული წელი უსურვა. ამ ლამაზი საახალწლო ღონისძიების ავტორი პედაგოგი მარიკა ლაპარტყავაა. მას ასევე დაეხმარნენ პედაგოგები ნონა შანიძე და თამუნა თარგამაძე. მოსწავლეებს ახალი წელი მიულოცა და წარმატებები უსურვა სკოლის დირექტორმა, გრიგოლ კიკვაძემ. კიდევ ერთი წელი შეემატა სკოლის მრავალწლოვან ისტორიას, კიდევ ერთი საინტერესო წელი შემობრძანებულიყოს ამ კედლებში, დაბრუნებოდეს სკოლას მოსწავლეთა სიუხვე და სიმრავლე, ტკბილ მოგონებად რომ ქცევიათ პედაგოგებსაც და ადგილობრივ მცხოვრებთაც.

კიდევ ერთი საბავშვო ბაღი

ნინო ნანიტაშვილი

2018 წლის იანვრიდან კიდევ ერთი საბავშვო ბაღი შეემატა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას და ციფრი 24-მდე გაიზარდა. საუბარია რკინიგზის ყოფილ 75-ე ბაგა-ბაღზე, რომელსაც ამჟამად ქალაქის მე-3 ბაგა-ბაღის სტატუსი მიენიჭა. შეგახსენებთ, რომ ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 75-ე ბაგა-ბაღი რკინიგზის ბალანსზე იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც “საქართველოს რკინიგზამ” ობიექტი სამტრედიის მუნიციპალიტეტს გადასცა, მოგვიანებით საბავშვო დაწესებულება გაერთიანების დაქვემდებარებაში მოექცა.

2018 წლის იანვრის ბოლოს ყოფილი 75-ე ბაგა-ბაღი განაახლებს სააღმზრდელო პროცესს მე-3 ბაგა-ბაღის სახელწოდებით და მას ადგილობრივი ბიუჯეტი დააფინანსებს.

“სამტრედიის მაცნე” ამ დღეებში დაუკავშირდა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს, ხათუნა გაგუას და მიმდინარე მოვლენებზე კომენტარი სთხოვა: “მე-3 ბაგა-ბაღი ამჟამად 2 ჯგუფზე, 50-ბავშვზე მუშაობს. თანამშრომელთა რაოდენობა 12-ია. საბავშვო დაწესებულება სტანდარტულია, მაგრამ მოითხოვს სერიოზულ რემონტს, ვინაიდან შენობის ნახევარში, დაზიანებული სახურავის გამო, წვიმს. ზოგადად, მე-3 ბაღი არის გათვლილი 6 ჯგუფზე. ჩვენ ზაფხულისთვის დავიწყებთ რემონტს და დაწესებულებაც დაიტვირთება, რაც გამოიწვევს ქალაქის ბაგა-ბაღების განტვირთვას. ბიუჯეტში ამისათვის თანხა უკვე დევს. მანამდე მუშაობა ჩვეულებრივად 2 ჯგუფზე გაგრძელდება. მე-2 ბაგა-ბაღს შევუძინეთ ჭურჭელი, სათამაშოები, სამზარეულოსთვის ქვაბები, ტაფები, ხორცსაკეპი მანქანა, სასწორი, გაზქურა. თვის ბოლომდე შევიძენთ მაცივარსაც. საბავშვო ბაღში ჯერჯერობით არ არის გაზი, დენი, წყალი, რაც ასევე თვის ბოლომდე უნდა მოწესრიგდეს.

მადლობა მინდა გადავუხადო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს იმ მხარდაჭერისთვის, რასაც ის იჩენს სკოლამდელი დაწესებულებისადმი”.

“ქალაქ სამტრედიის წმინდა მოწამე ქეთევანის სახელობის სათნოების სახლის” (შემდგომ: “ქსწმქსსს”) წესდების მე-6 თავის მე-2 ნაწილის საფუძველზე ამავე ორგანიზაციის “ქსწმქსსს” გამგეობის წევრების მანანა მანჯგალაძის, გივი ღაღანიძის, ვახტანგ მაღლაკელიძის, ზაზა გიგიბერიას “ქალაქ სამტრედიის წმინდა მოწამე ქეთევანის სახელობის სათნოების სახლის” გამგეობის წევრებისადმი მიმართვა:

განცხადება

“ქალაქ სამტრედიის წმინდა მოწამე ქეთევანის სახელობის სათნოების სახლის” გამგეობის წევრთა მიერ “ქსწმქსსს” წესდების მე-6 თავის მე-2 პუნქტის საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, 2018 წლის 22 იანვარს ქ. სამტრედიაში აღმაშენებლის ქ. II ჩიხის, №1-ში 18.30 საათზე ჩატარდეს “ქსწმქსსს” გამგეობის რიგგარეშე სხდომა. სხდომის დღის წესრიგით განსახილველი საკითხებია; 1). “ქსწმქსსს” წესდების მე-7 თავის მე-4 ნაწილის მიხედვით თავმჯდომარის ანგარიში; 2). “ქსწმქსსს” წესდების მე-7 თავის მიხედვით თავმჯდომარის არჩევა; 3). სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიმართ სასამართლოში მიმდინარე დავის საგნის _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის №91 განკარგულების №1 დანართში მითითებული ქონების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, სარჩელის გამოთხოვასთან დაკავშირებით.

“ქსწმქსსს” გამგეობის სხდომის მომწვევი გამგეობის წევრები:

მ. მანჯგალაძე, გ. ღაღანიძე, ვ. მაღლაკელიძე, ზ. გიგიბერია.

2017 წელი 29 დეკემბერი

საახალწლო კარნავალი ილორის სკოლაში

ნათია ნაცვლიშვილი

ილორის საჯარო სკოლა მეორე საჯარო სკოლასთან არის შერწყმული, ამ სკოლის მთელი კონტინგენტი 36 ბავშვია. საუკეთესო საახალწლო კარნავალზე გვიმასპინძლეს სკოლის მოსწავლეებმა. ჯერ პირველკლასელები, დაწყებითების პედაგოგ ქეთევან ქიმუცაძის აღსაზრდელები წარსდგნენ სცენაზე ულამაზესი ლექსებით. მერე კი ღონისძიებების ავტორი, ფრანგული ენისა და ჭადრაკის პედაგოგი გულიკო გოგიტიძე მოგვესალმა, ახალი წელი მოგვილოცა და სცენა სკოლის მოსწავლეებს დაუთმო.

სცენას ზღაპრის გმირები: (წითელქუდა პარიზის ბულვარიდან ფრანგული სიმღერის ფონზე მოვიდა და ფრანგულად მოგვესალმა), კომბლე, ნაცარქექია, პეპი გრძელიწინდა, ბურატინო, დევი, კონკია, მაშა და დათვი, ორი ჯუჯა, ფიფქია და შვიდი ჯუჯა ეწვივნენ. იყო ლექსის და სიმღერის ზეიმი, ქართული ცეკვების ცეცხლიც დაანთეს, მოსწავლეები სხვადასხვა ანსამბლის წევრები არიან და შესანიშნავად ცეკვავენ. ბავშვებმა მოგვითხრეს, თუ სად და როგორ ხვდებიან ახალ წელს, გაგვაცნეს საქართველოს კუთხეებში ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციები. იმღერეს სიმღერები სამეგრელოსა და გურიაზე. დარბაზი განსაკუთრებით იუმორისტულმა სკეტჩებმა გაახალისა. ნოდარ დუმბაძის უკვდავი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან" გათანამედროვებული ტექსტებით გააცოცხლეს სულძაღლიანი ზურიკელას გასტუდენტების ისტორია. ასევე თანამედროვე ცხოვრების ყველა ნიუანსი შეისრუტა იუმორისტულმა სკეტჩმა "კუჩხი ბედნიერიდან". პაჭუ პროვიზორი ოჯახების პრობლემებს ისმენს და სიას ადგენს, თუ ვის უნდა ეწვიოს მფერხავად ახალი წლის ღამეს. აი, პრობლემათა ზეპირი დავთარი: სამი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, უნარების გამოცდა ჩაბარებული აქვს, მაინც ვერ გათხოვდა. ვის ბანკიდან აღებული კრედიტი ვერ დაუფარავს... და მათი გაცვეთილი იმედები პროვიზორ პაჭუს ფეხზეღა ჰკიდია. დარბაზში ყველამ ძალიან იხალისა, ბავშვებმა მხიარული თამაშებიც შემოგვთავაზეს.

ღმერთმა დალოცოს კაცის მარჯვენა, დედამიწის ბარაქა, ცა და ღრუბელი, მზე და წვიმა, კაცის მარჯვენა, ქალის ცრემლი, უპატრონო ავადმყოფი, მართალი პატიმარი, სწორე მოსამართლე, ობოლი ბალღები, შორეული მენავენი, კარგი მთავრობა! _ ამ ხალხური ლოცვით დაგვემშვიდობნენ ბავშვები. თოვლის ბაბუამ თითოეული მათგანი საახალწლო ნუგბარით დაასაჩუქრა. იმ დღეს ილორის სკოლის პედაგოგებსაც ეწვიათ იდუმალი სანტა. კომპანია RISOULA-მ, რომლის დირექტორიც დავით შარაშიძეა და რომლის წარმომადგენლებიც მამუკა და ნიკოლოზ გაბელაიები არიან, პედაგოგები ტკბილეულით დაასაჩუქრეს. ასევე დაასაჩუქრეს პატარებიც. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს გიორგი ქიმუცაძემ, გიორგი დუმბაძემ, ანანო მუქერიამ, ანდრია ჯუშოშვილმა, გიორგი გაბელაიამ, მარიამ ნეფარიძემ, ლიკა ტკვაცირიამ, ლინდა ჯუშოშვილმა, ლუკა გაბელაიამ, გიორგი პატარაიამ, თამთა დვალიშვილმა, მიხეილ ნინუამ, ნინო ძიძიგურმა, ლიკა დვალიშვილმა, ანუკი დუმბაძემ, მარიამ ტკვაცირიამ. ლიკა ჩიგოგიძემ, ნინო ახობაძემ. მარიამ სანიკიძემ, თეკლა სანიკიძემ, ანი ფანცხავამ, ნათია დუნდუამ, ზიზი ხვედელიძემ, ანა ხაჟომიამ, მარიამ ფანცხავამ. ამრიდი გაბელაიამ, თედო დვალიშვილმა და გიორგი ჩხარტიშვილმა კი დიჯეების მისია შეითავსეს.

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა სკოლის დირექტორ თეა კარტოზიას: " მივულოცავ დამდეგ ახალ წელს ამ შემოქმედებით ბავშვებსა და პედაგოგებს, უდიდესი მადლობა მათ ასეთი ლამაზი ღონისძიების მოწყობისათვის, საოცარ სამყაროში აღმოვჩნდით, მადლობა პედაგოგებს გულიკო გოგიტიძესა და ქეთინო ქიმუცაძეს. მჯერა, ეს სკოლა მრავალ ასეთ საინტერესო საღამოს უმასპინძლებს."

გოგონა ვაჟკაცური ხასიათით

მარიამ გოგიტაურს სამტრედიაში იცნობენ. თუმცა, არა მხოლოდ სამტრედიაში, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. იცნობენ, როგორც წარმატებულ კარატისტს, არაერთი შეჯიბრის გამარჯვებულს. სენსეი მიხეილ ქანთარია მისი მწვრთნელია. როგორც მარიამი ამბობს, მისთვის ის არის: "ადამიანი, ძალიან რომ მიყვარს. ჩემი ოჯახის წევრებზე არანაკლები ამაგი აქვს ჩემზე და არა მხოლოდ ჩემზე, ყველა მის აღსაზრდელზე. როცა შეჯიბრებებზე ვართ საკუთარი ოჯახებიდან შორს, სენსეი მიშა ჩვენზე ისე ზრუნავს, როგორც საკუთარ შვილებზე."

გამხდარიყო კარატისტი, მარიამის ბავშვობის ოცნება იყო. ეს ოცნება ბავშვობაშივე აიხდინა. ამ ვაჟკაცურ სპორტს მისთვის ქალური სინაზე არ დაუკარგავს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მარიამმა მასზე არჩევანი იმიტომ გააკეთა, საჭიროების შემთხვევაში სხვებიც რომ დაიცვას და საკუთარი თავიც. მისმა გადაწყვეტილებამ ყველაზე მეტად მამა, თენგიზ გოგიტაური გაახარა. იგი მოჭიდავე გახლავთ და სხვებზე უკეთ იცის სპორტის სხვადასხვა სახეობის ფასი.

მარიამ გოგიტაური ნოღის საჯარო სკოლის მოსწავლეა. წარჩინებული არა, მაგრამ კარგი! სკოლაში პატივს სცემენ მარიამ, ითვალისწინებენ მის წარმატებებს სპორტში და ყველანაირად უწყობენ ხელს მეტი დრო დაუთმოს მას. საკუთარი თანატოლების მსგავსად მასაც ძალიან უყვარს გართობა, უპირატესობას ანიჭებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მაგრამ თვლის, რომ: "ეს არ უნდა იყოს წინაპირობა იმისა, თაობები წიგნს დაშორდეს. რაც დრო გადის, სულ უფრო თვალშისაცემი ხდება, რომ ახალგაზრდებში მომრავლდა ურთიერთგაუტანლობის სინდრომი. გაცივდნენ მოზარდები ერთმანეთის და საერთოდ, მიმდინარე მოვლენების მიმართ, შური და ბოღმა სჭარბობს მათში. ეს საგანგაშოდ მიმაჩნია. მინდა, ჩემი თანატოლები სიყვარულითა და სათნოებით იყვნენ სავსენი."

მან იცის მეგობრობისა და თანადგომის ფასი. როგორც ამბობს, სპორტი, რომლითაც დაკავებულია, მხოლოდ სპორტის სახეობა კი არ არის, ცხოვრებისეული სიბრძნეა, რომელიც ადამიანებს სიმშვიდის, სულიერი გაწონასწორების, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულისკენ უბიძგებს. ალბათ სიმართლის სიყვარულის გამოც შეიყვარა კიოკუშინკაი კარატე მარიამმა. გადა ამისა, სამართლის საფუძვლიანად შესწავლას და პატრულის სამსახურში ჩადგომას გეგმავს სამომავლოდ.

მარიამ გოგიტაურს წინ კიდევ დიდი წარმატებები ელოდება. დიახ, ასე დაბეჯითებით, რადგან მან იცის შრომისა და ბრძოლის ფასი, გამარჯვების ფასიც იცის და ისიც, მიზნის მისაღწევად ბოლომდე რომ უნდა დაიხარჯოს.

კიდევ ერთი ახალი წელი დადგა დედამიწაზე. ვულოცავთ მარიამს. მასაც და მის სოფელსაც, მის ქვეყანასაც მარიამ გოგიტაურის დიდ გამარჯვებებს ვუსურვებთ.

თეა ბაბუნაშვილი

ახალი წელია

ახალ წელს ისეთს გისურვებთ გულით
ვით იყო ლამაზი, ვით იყო ძველად.
ხვალის იმედის თუმც ვარ ერთგული,
გვიჭირს თუ გვილხინს, გილოცავთ ყველას.
გამოდი იმღერე სიზმრების ფერიავ,
ხომ ხედავ, უკვე ახალი წელია,
ჯერ რომ არასდროს არ გიმღერია,
საქართველოში ახალი წელია!
ღამე ვარსკვლავების და ღამე ბროლისა,
შუქზე მოციმციმე ფერების ფერხული,
ხვალის მოლოდინით კვლავ დიდი ბრძოლისა,
ახლა სხვანაირად ხალისობს გული.
მშობლიურ კერაზე თბილ მზეს ელიან,
მე კი დარდები არ დამელია.
ბავშვები ცეკვავენ, ბავშვები მღერიან,
ჟრიამულია, ახალი წელია!
ოჯახში შევედი და თვალი დამრჩა,
ჩურჩხელა, ლეღვის ჩამიჩი, ფარჩა,
დიასახლისი კი ლამაზი ქალი,
ოქროსფრად ელავდა ფორთოხალი.
თვალებმაყვალა ქართველი ქალი,
ღვინოს მოგაწვდის ბროლის დოქით,
საქართველოსი სულ მქონდეს ვალი,
შემოვიარო ლექსით და როკვით.
რა კაშკაშაა, რა ნათელია,
როგორ მოურთავთ ნაძვის ხე რიოში,
ამ დღეს ყოველთვის ყველანი ელიან,
ახლა ზეიმია მთელ საქართველოში.
ქეიფი სოფლური თუ ქალაქური,
აკურთხოს ღმერთმა, ელის ღვთის შეწევნას,
ბარაქა, ლხინი შემოდგომური
დიდს თუ პატარას, მშვიდობა ყველას.
ტკაცუნებს ბუხარში შეშა, დუღს კარდალა,
შავი ღვინო და დედას პური,
სიმღერა ლხინში მამა-პაპური,
მაშ, გაუმარჯოს ახალ წლის დილას!

მერაბ ჩაჩავა

მზია ჩიხლაძე "წლის ბებია"

ლევან გაბეჩავა

ღვაწლმოსილი მსახიობის, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილის, ქალბატონი მზია ჩიხლაძის შემართება, ახალგაზრდული პათოსი საყოველთაოდაა ცნობილი.

მრავალ სპექტაკლში მიუღია მონაწილეობა და პარტნიორობა გაუწევია ლეგენდარული მსახიობების, ვერიკო ანჯაფარიძისა და ეროსი მანჯგალაძისათვის.

საუბრის ცალკე თემაა მზია ჩიხლაძის აგიტმხატვრულ ბრიგადაში ჩართულობა, ეს შემოქმედებითი კოლექტივი გასული საუკუნის 60-80-იან წლებში ერთობ პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო სამტრედიაში, მთელ საქართველოში.

წლებმა ვერაფერი დააკლეს, მხოლოდ სიბრძნე და გამოცდილება შესძინეს ღვაწლმოსილ ხელოვანს.

ამ დღეებში, თბილისში საქველმოქმედო ორგანიზაცია "კათარზისის" ორგანიზებით უკვე მეთოთხმეტედ ჩატარდა ხანდაზმულთა საშობაო კონკურსი. მასში მონაწილეობა ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ქალბატონმა მზია ჩიხლაძემ და ცნობილმა ქორეოგრაფმა, მრავალი თაობის აღმზრდელმა ბატონმა გიორგი (ჟორა) კეშელავამ მიიღეს.

"ხანდაზმულთა მეთოთხმეტე საშობაო კონკურსში მონაწილეობისათვის მოგენიჭათ საპატიო წოდება "წლის ბებია" _ ვკითხულობთ საქველმოქმედო ორგანიზაცია "კათარზისის" დამფუძნებლის ზაურ (ოლეგ) ალადაშვილის ხელმოწერილ სიგელში. პირველი ადგილი, ფულადი ჯილდო, ფასიანი საჩუქრები და საყოველთაო მოწონება, კიდევ ერთი აღიარება _ აი, ასე დაბრუნდა მშობლიურ სამტრედიში ქალბატონი მზია, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ ახლობლები, კოლეგები, რომლებმაც პირდაპირ ეთერში იხილეს ქალბატონი მზიასა და ბატონი გიორგის გამოსვლა.

"საოცრად კარგი ღონისძიება იყო, თავდაპირველად არ მინდოდა წასვლა, მაგრამ მერე გადავწყვიტე. შედეგით კმაყოფილი ვარ, მინდა, მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსს ნატალია მანჯგალაძეს, კულტურის ცენტრის ქორეოგრაფებს, ჩემს თანამშრომლებს, ახლობლებს, ყველას, ვინც გვგულშემატკივრობდა. ვეცდები, ბოლომდე დავიხარჯო ჩემი მუნიციპალიტეტისათვის". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მზია ჩიხლაძემ.

_ ერთ-ერთ ღონისძიებაზე ვნახე ქალბატონი მზიასა და ბატონი ჟორას მიერ შესრულებული ცეკვა, როცა შემოთავაზება მივიღეთ, ღონისძიებაში მიგვეღო მონაწილეობა, არჩევანი მათზე გავაკეთე, არც შევმცდარვართ, პირველად მიიღო სამტრედიამ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა და პირველი ადგილიც გვხვდა წილად. ვულოცავ ქალბატონ მზიას, მადლობა ბატონ გიორგი კეშელავას. _ კომენტარი გააკეთა ნატალია მანჯგალაძემ.

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სახელით კეთილ სურვილებს გულწრფელად შეუერთდა ქალბატონი ლამარა დუნდუა _ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი.

ჩვენც ვულოცავთ ქალბატონ მზიას "წლის ბებიის" საპატიო ტიტულს, მადლობას მოვახსენებთ ბატონ ჟორა კეშელავას ღონისძიებაში მონაწილეობისათვის.

"ცხოვრებას ვიწყებ თავიდან" უყვარს ამ ფრთიანი ფრაზის ხშირად გამეორება ქალბატონ მზიას, ქალბატონს, რომელსაც "ჯერ სიბერისათვის არა სცალია".

"კათარზისის" ამ ღონისძიებით ნათლად გაცხადდა, რომ წლები ვერაფერს დააკლებს ადამიანს, თუ გული აქვს უბერებელი, შემართება ახალგაზრდული.

ქალბატონ მზია ჩიხლაძეს!

გილოცავთ საქართველოს №1 ბებიობას. თქვენისთანა, კეთილშობილებით აღსავსეს ნამდვილად ღირსი ხართ ამ დიდებული წოდების ტარების. ამასთან იცოდეთ, უფლება აღარა გაქვთ ჩვეულებრივი სამოსის ტარების. თქვენ ქართული, ტრადიციული "ჩიხტიკოპით" უნდა შეიმოსოთ.

გვჯერა, როგორც კარგ მსახიობსა და სრულიად საქართველოს ბებიას, შენი საყვარელი თეატრის წინ უკვდავების ვარსკვლავსაც გაგიხსნიან.

2018 წლის საქართველოს ბებიას!

გავიხარეთ, ბედობის დღეს
ეს რა დაგბედებია,
გავიგეთ, რომ გამხდარხარ
საქართველოს ბებია,
ბავშვებისთვის მუდამ იყავ
საყვარელი, ხელგაშლილი,
ორი გყავდა, უცებ გაჩნდა
უამრავი შვილიშვილი.
დაუჯექი და ასწავლე
"წინმკლავი და განმკლავი"
დროა უკვე გაგიხსნან
საკუთარი ვარსკვლავი.

და-ძმური სიყვარულით
ბორის ფოცხვერაშვილი

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა!

ჩუმი მოღვაწე

ლევან გაბეჩავა

დიახ, ჩუმად, უპრეტენზიოდ იღვწოდა, არასოდეს გარჯილა საიმისოდ, რომ საკუთარი თავი, ნაღვაწი წარმოეჩინა, არადა, ერთი კაცის შესაძლებლობების კვალობაზე მართლაც ბევრი გააკეთა, სიცოცხლეშივე მოიხვეჭა საზოგადოებისაგან პატივი და აღიარება.

წაქცეული ხე ადვილად იზომებაო, უთქვამთ და მართლაც, ბატონი ალექსანდრე (ალიოშა) ერქვანიძის გარდაცვალების შემდეგ უფრო დაედო ფასი მის მიერ ნაკეთებ კეთილ საქმეებს.

დაბა კულაშში დაიბადა. კულაშის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, მაგრამ ომისა და საერთო გასაჭირის გამო, სწავლის შეწყვეტა მოუხდა, მოგვიანებით დაამთავრა ამავე ინსტიტუტის მუსიკისა და დრამის განყოფილება.

სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში მსახიობად მუშაობდა.

კლუბების გამგე, კულტურის განყოფილების ინსპექტორი, თეატრის მსახიობი... აი, თანამდებობები სხვადასხვა დროს რომ ეკავა ბატონ ალიოშას.

1968 წელს ქართველებითა და ებრაელებით დასახლებულ დაბა კულაშში მუსიკალური სკოლა დაარსდა, რომლის დირექტორადაც ბატონი ალექსანდრე ერქვანიძე დაინიშნა. სკოლაში არაერთ პროფესიასა და მოსწავლეებზე შეყვარებული პედაგოგი მუშაობდა: ნანული შენგელია, ლიანა ბათაშვილი, გულჩორა გოგეშვილი, ლამარა კუპატაძე, ია ჟვანია, ლუდა ვაშაკიძე, დოდო სტურუა... ამ სკოლის არაერთმა ყოფილმა მოსწავლემ აირჩია პროფესიად მუსიკის პედაგოგობა, მრავალნი კი დღესაც სიამოვნებით იხსენებენ სკოლის წლებს, მათზე მზრუნველ პედაგოგებსა და სკოლის დირექტორს. 1996 წლამდე, ლამის 30 წელი ხელმძღვანელობდა ბატონი ალიოშა ამ სკოლას, რომელიც ერთ-ერთი მოწინავე იყო არათუ რაიონის, ქვეყნის მასშტაბით.

აგაბო, ოტია იოსელიანის "სანამ ურემი გადაბრუნდება", პროკურორი ალ. ჩხაიძის "ხიდი", აღმასკომის თავმჯდომარე _ ალ. ჩხაიძის "სამიდან ექვსამდე", ისიდორე სალარიძე _ ნოდარ დუმბაძის "საბრალდებო დასკვნა" _ აი, სამტრედიის თეატრში ბატონი ალიოშას მიერ განსახიერებული შთამბეჭდავი სახეების არასრული ჩამონათვალი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა ალიოშამ უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი რაიონის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში.

საუბრის ცალკე თემაა მისი მოღვაწეობა უხუცესთა ანსამბლ "სანავარდოში". ცნობილია, რომ ანსამბლ "სანავარდოს" მიერ მოძიებული, გადამუშავებული, აღდგენილი და შესრულებული არაერთი სიმღერაა შესული საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში.

სისადავე და უბრალოება, ერუდიცია და დიდი პასუხისმგებლობა საუცხოოდ იყო შერწყმული ბატონი ალიოშას პიროვნებაში.

არცთუ იშვიათად "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში ბატონ აზზორ გრიგოლიასთან, ოთარ ნაფეტვარიძესთან შემოდიოდა და საინტერესო თემებზეც საინტერესოდ საუბრობდა.

საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი თითქმის არასოდეს ყოფილა საზოგადოებრივი დავალებების გარეშე.

ახალი, 2018 წელი საიუბილეოა ანსამბლ "სანავარდოსთვის" (დაარსებიდან 40 წელი) და კულაშის მუსიკალური სკოლისათვის (დაარსებიდან 50 წელი). ვიმედოვნებთ, მუნიციპალიტეტში, კულაშის მუსიკალურ სკოლაში ჯეროვნად აღინიშნება ეს თარიღები.

ამჯერად კი, ამჯერად ჩუმი, მოკრძალებული, თუმცა, საოცრად მრავალმხრივი მოღვაწე, ბატონი ალიოშა ერქვანიძე ქართული თეატრის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით გავიხსენეთ.

უძეგლოდაც არ იკარგებიან ღირსეულები.

სურათზე: *ალექსანდრე (ალიოშა) ერქვანიძე ანსამბლ "სანავარდოს" წევრებთან*

ჩემი უნივერსიტეტი

შვილის ჯარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ

ლევან გაბეჩავა

ვიდრე საჯარო მოხელე იქნებოდა, 20 წელი საადვოკატო პრაქტიკას ეწეოდა, მრავალ საინტერესო ადამიანთან მოუხდა ურთიერთობა. რუბრიკას "ჩემი უნივერსიტეტი" მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, ადამიანის უფლებათა, საპროცედურო და სამანდატო კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა სირბილაძე სტუმრობს. უნივერსიტეტში გატარებულ სტუდენტურ განუმეორებელ წლებს იხსენებს იგი.

სამტრედიის №1 საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, ქალბატონი ნეოლინა ჯიქიძე გახლდათ ამ სკოლის დირექტორი. ბავშვობიდანვე უნივერსიტეტში სწავლაზე, იურისტობაზე ვოცნებობდი. სურვილი 1982 წელს ამიხდა, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. უნივერსიტეტის რექტორი ბატონი როინ მეტრეველი გახლდათ. მეამაყება, რომ არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ საერთაშორისოდ ცნობილი ლექტორების, პროფესორ-მასწავლებლების ლექციებს ვისმენდი. თითოეულისგან არა მხოლოდ კონკრეტული დისციპლინა, კაცთმოყვარეობა, ჰუმანურობა, ადამიანობა, ძალზე ბევრი რამ ვისწავლე. ბატონები: ლევან ალექსიძე, ვახტანგ აბშილავა, ზაურ ჯინჯოლავა, ზაურ წულაია, მინდია უგრეხელიძე და სხვები ბოლომდე იხარჯებოდნენ სტუდენტებისათვის. დიპლომი საერთაშორისო სამართალში დავიცავი. ჩემი აქცენტი იყო ცივილური (სამოქალაქო) სამართალი.

იმის მიუხედავად, რომ ჩემი სტუდენტობა კომუნისტური მმართველობის წლებს დაემთხვა, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო კერა იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავშირში, მის ფარგლებს გარეთაც, ეროვნული მუხტით შეკრულ ერთ მძლავრ, ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენდა. ამას კი უპირველესად უნივერსიტეტში მოღვაწე ლეგენდარული ადამიანები განაპირობებდნენ. საოცრად თბილი ურთიერთობა გვაკავშირებდა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. საათობით ვიჯექით როგორც უნივერსიტეტის, ისე საჯარო ბიბლიოთეკაში, რათა შესაბამისი ლიტერატურის გამოყენებით შეგვესრულებია დავალებები. არცთუ იშვიათად, გვიწევდა რუსულიდან ქართულად თარგმნა, ყველაფერი კი, დღევანდელისაგან განსხვავებით, მართალია ძნელი, თუმცა, ერთობ საინტერესო პროცესი იყო.

დიდი საზოგადო მოღვაწისა და დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის სახელი უნივერსიტეტს იმ წელს მიენიჭა, როცა სწავლა დავამთავრე და უკვე იურისტები ცხოვრების ფართო ასპარეზზე გავედით.

თუ რამ ჩემში კარგია უნივერსიტეტს, სტუდენტობის წლებს და ჩემს ლექტორებს ვუმადლი. როგორც ადვოკატობისას, ისე ამჯერად უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის რეალიზებას რომ ვახდენ, საოცრად ბედნიერი ვარ. დროის სვლასთან ერთად მძაფრდება ნოსტალგია სტუდენტობის წლებისა.

საოცრად ვხარობ როგორც ქართველი და უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რამეთუ საქართველოს დედა უნივერსიტეტი საუკუნოვან იუბილეს ამაყად, მხრებგაშლილი ეგებება, რომ ყოველ წელი ამ სასწავლო დაწესებულებას მეტ ავტორიტეტს, საერთაშორისო აღიარებას სძენს.

მინდა ვისარგებლო "სამტრედიის მაცნეს" საშუალებით, მადლობა გითხრათ რუბრიკაში მოწვევისათვის და სამტრედიელებს, სრულიად საქართველოს ოდნავ მოგვიანებით მივულოცო შობა-ახალი წელი, წინსწრებად ნათლისღების ბრწყინვალე, კარს მომდგარი დღესასწაული.

უნივერსიტეტის სტუდენტობას, პროფესორ-მასწავლებლებს ვუსურვებ ყოფილიყვნენ უნივერსიტეტში ათეული წლების მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები.

ჩვენი ერის სიამაყეა უნივერსიტეტი.

დენდროლოგიური პარკის ახალი სიცოცხლე

ლევან გაბეჩავა

მეთერთმეტე საჯარო სკოლის მოსწავლე-მასწავლებელთა მიერ ორგანიზებული მრავალფეროვანი ღონისძიებებით საზოგადოება სწორედაც რომ განებივრებულია. სკოლის ადმინისტრაციის (დირექტორი ქალბატონი ლენა ხაჟალია) მიზანმიმართული მუშაობის შედეგია ყოველივე.

უჩვეულოდ თბილი იყო უკვე გასული წლის 29 დეკემბერი. მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ მედიის წარმომადგენლებთან ერთად გეზი ილორში მდებარე დენდროლოგიური პარკისკენ აიღო.

მერის მოადგილე დავით ბახტაძე, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მერიის სხვა მაღალჩინოსნები ილორში რომ მივიდნენ, პარკის შესასვლელთან მეთერთმეტე საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგთა და მოსწავლეთა ერთი ნაწილი იქ დახვდათ.

მალე გახდა ცნობილი დენდროლოგიურ პარკში ჩვენი მორიგი სტუმრობის მიზეზი.

"ორბელიანი საქართველო" არის ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ნებისმიერ ადამიანს აძლევს საშუალებას, საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გაისარჯოს, ჩვენი სკოლა ამ პროექტში მაისში ჩაერთო და დღემდე მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა"... მოკლედ გავაცნო ქალბატონმა ლენა ხაჟალიამ პროექტში სკოლის მოსწავლეთა ჩართულობის პროცესის მიმდინარეობა და სიტყვა პროექტის ხელმძღვანელს, პედაგოგ მაია ლორიას გადასცა.

"სამტრედიის დენდროლოგიური პარკის ახალი სიცოცხლე" დაფინანსდა 1500 ლარით, თუმცა, დამატებით დაგვიმზადეს 25 ჟეტონი პარკში არსებული ხეების აღრიცხვისათვის". ამ თანხით შესრულებული სამუშაოების შესახებ გვესაუბრა ქალბატონი მაია, სამუშაოები კი მართლაც აუცილებელი და დროული გახლავთ, კერძოდ: შეიღება პარკში შესასვლელი ჭიშკარი, გაკეთდა წარწერა _ "დენდროლოგიური პარკი". განახლდა ფანჩატური, დაიგო (შესასვლელში) ბეტონის გზა და ა. შ.

ამასობაში ეკოკლუბში გაერთიანებულმა ბავშვებმა და არა მარტო მათ, დენდროლოგიურ პარკში არსებული უნიკალური მცენარეების აღიცხვის პროცესი დაიწყეს, შემდეგ კი პროფესიონალურად დამზადებული კატალოგიც გვიჩვენეს.

_ საინტერესო იყო მუშაობა პროექტის ფარგლებში, კარგი ამინდია, კარგი განწყობა, მადლობა ჩვენს პედაგოგებს, ყველას, ვინც მხარში გვედგა. _ გვითხრეს მოსწავლეებმა: დავით გეგუჩაძემ, ჯუნა წიკლაურმა, თიკო თვალაბეიშვილმა, ელენე ბოხუამ, ელენე კინწურაშვილმა. ჟეტონების მიმაგრების პროცესში მეთხუთმეტე საჯარო სკოლა-პანსიონის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ერთი რამ აშკარად თვალშისაცემი იყო ამ დღეს, მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია მის მოადგილეს დავით ბახტაძესა და სკოლას, თავის მხრივ სკოლა მერს, მერის მოადგილეს დავით ბახტაძეს, მერიისა და გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას უხდიდნენ მადლობას პროექტის მხარდაჭერისათვის.

ერთი სიტყვით, კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, რომ ერთი და ორი ადამიანი თანადგომისა და საქმის გულთან მიტანის გარეშე ვერაფერს გახდება.

ჩვენი აზრით, რაც 29 დეკემბერს დენდროლოგიურ პარკში მეთერთმეტე სკოლელთა მიერ ვნახეთ გაკეთებული, კარგზე მეტად კარგია, რამეთუ, როგორც არასდროს ისე სჭირდება პლანეტის ბინადართ მწვანე საფარი, სუფთა ჰაერი, საზოგადოებას ღირსეული ადამიანები, ბუნების ქომაგები, სწორედ ისეთები, ამ პარკის დამაარსებელი ბატონი ვლადიმერ კახიანი რომ იყო.

სასიამოვნოა ისიც, რომ ბაბუის დაწყებულ საქმეს რუდუნებით აგრძელებს შვილიშვილი, პარკის ამჟამინდელი დირექტორი.

კმაყოფილებმა დავტოვეთ ილორი, საუბარი მანქანაშიც გაგრძელდა _ იდეა მაქვს, საჯარო სკოლები მოვიწვიოთ პარკში, სამოქმედო უბანი მივცეთ თითოეულს და პროექტი უფრო მასშტაბური გავხადოთო. _ გაგვანდო მერის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამქეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ. პარკთან დაკავშირებით უფრო შორს მიმავალ გეგმებზე მერის მოადგილემ, დავით ბახტაძემაც გაგვიზიარა საკუთარი მოსაზრება.

სასიამოვნოა, რომ მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო მარადიულ მზაობას გამოთქვამენ მხარი დაუჭირონ ყველა იმ პროექტსა და აქტივობას, რომლებიც ახალგაზრდების მიერ იქნება დაანონსებული. 29 დეკემბერს დენდროლოგიურ პარკში მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიასა და მერის მოადგილის, დავით ბახტაძის მიერ გაჟღერებულ განცხადებებში, საუბრებში გამოიკვეთა ეს პათოსი, რაც მისასალმებელია.

მეთერთმეტე საჯარო სკოლისა და მერიის თანაპროექტი შეიძლება ვუწოდოთ ამ აქტივობას, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს გაგრძელება.

ვტოვებთ დენდროლოგიურ პარკს.

აქაურობას, აქ არსებულ ცადაზიდულ უიშვიათეს მცენარეებს მართლაც სჭირდება მზრუნველი ხელი, საყოველთაო ზრუნვა.

ქებას უდავოდ იმსახურებენ მეთერთმეტე საჯარო სკოლელები, მარად ახლის, პროგრესულის ძიებაში რომ არიან და შედეგსაც სასურველს, პოზიტიურს აღწევენ.

გალი მატიე – ''სიცილით განმკურნებელი რეცეპტი''

XVII საუკუნის დასასრულს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ცხოვრობდა ექსცენტრიული თვისებებით გამორჩეული ფრანგი ექიმი _ გალი მატიე, რომელმაც სახელი გაითქვა არა მხოლოდ შესანიშნავი სამედიცინო პრაქტიკით, არამედ იმით, რომ იგი თავის პაციენტებს, გარდა ტრადიციული რეცეპტებისა, ერთობ უჩვეულო სახის სამკურნალო რეცეპტებსაც უწერდა. გონებამახვილი ფრანგი ექიმი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დადებითი ემოციები და სიცილი ავადმყოფის გამოჯანმრთელების პროცესს აჩქარებდა. ამ, მიზეზის გამო, გალი მატიე თავის პაციენტებს უწერდა რეცეპტებს, რომელთაც შემდგომ ''სიცილით განმკურნებელი რეცეპტები'' უწოდეს: რეცეპტის ავერსზე მატიე თავის სახელს, გვარსა და პაციენტისათვის საჭირო სამკურნალო პრეპარატებს წერდა, ხოლო რევერსზე კი ექიმი მის ცხოვრებაში მომხდარი კურიოზული ისტორიების გარდა, კალამბურებს, პიკანტურ ანეკდოტებსა და მახვილგონივრულ იუმორისტულ ციტატებსაც გამოსახავდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასეთი უჩვეულო სახის რეცეპტები ერთობ სასარგებლო და სასიამოვნო ემოციების აღმძვრელი აღმოჩნდა პაციენტებში, რამაც, თავის მხრივ, მატიეს, როგორც შესანიშნავ ექიმს, დიდი ავტორიტეტი შესძინა, რომ თავისუფალი დროის უქონლობის გამო იგი ველარ ახერხებდა ყველა პაციენტთან უშუალო ურთიერთობას. ამ გარემოებამ კი იგი აიძულა პაციენტებისათვის ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა მრავალი სახუმარო ისტორიით შეზავებული ''სიცილით განმკურნებელი რეცეპტები''.

თამარ ცინცაძის მოგონება

წმინდა ეფრემ ასური ბრძანებს: ''დღეები სწრაფად გადიან, საათები არ იცდიან და არ ჩერდებიან, რადგან დროის სწრაფი სრბოლით ისწრაფვის ქვეყნის აღსასრულისაკენ. არც ერთი დღე არ აძლევს უფლებას მეორეს, მასთან ჩაიაროს და არც ერთი საათი არ უცდის მეორეს, რომ მასთან ერთად გაჰყვეს''.

დაფარულია და მოულოდნელი კაცთათვის მისი მოსვლის დრო, მაგრამ არაფერია ისე ნამდვილი და მოულოდნელი, როგორც დრო მისი გარდაცვალების და ეს რეალობა ხშირად გვზარავს, გვთრგუნავს და მოსვენებას გვიკარგავს კიდეც. რთულია იმის თქმა და განსაზღვრა, ვინ როგორ მხნეობას გამოიჩენს განსაცდელის ჟამს, ვინ სად დადგება და როგორ.

ძნელი და სულის შემძვრელია იმ რეალობის აღქმა, რაც ახლობელი ადამიანის დაკარგვითაა გამოწვეული. თამარი იყო ის ადამიანი, რომელმაც მისი წასვლით დაგვიტოვა დიდი ტკივილი და სიცარიელის განცდა, მაგრამ კარგია, რომ სასიამოვნო მოგონებად დარჩა ჩვენს მეხსიერებაში.

ბედნიერებისა და სითბოს მძებნელი მარცვალი არყოფნიდან ყოფაში მოვლენილი მრავალ ამოებით დამძიმებული:

''და რომ მოვიდე, მეორეჯერ ალბათ ამქვეყნად.
და რომც დავიწყო ახლებურად ახლის ცხოვრება,
იმ ყოფილ დღეებს მომაგონებს ჩუმი ნაღველი
და ის დღეები ისევ ისე მომაგონდება''.

სიცოცხლის ქარიშხალს ვერ გაუძლო და ვერ მოასწრო რაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ისე იცხოვრა, რომ უფლისადმი მადლობის თქმა თავისი კეთილი სააქაო სიცოცხლით მაინც შეძლო.

''სიცოცხლე უნდა მადლობა იყოს ღვთისადმი შენგან კრძალვით მიძღვნილი''.

''ისე ლამაზად უნდა იცოცხლო მზის ჩასვლას უნდა გავდეს სიკვდილი''.

მან ერთგან სიკვდილი დედად აღიქვა და სიცოცხლე დედინაცვალთან გააიგივა.

წავიდა ის, ვინც ოჯახის, ახლო ნათესავების, მეგობრებისა თუ მისი სკოლის აღსაზრდელების უანგარო სიყვარული და ერთგულება იცოდა. ის იყო, ვინც არავისთვის იშურებდა ყოველგვარ ძალ-ღონეს, დროს თუ ენერგიას. ვინც მთელი გულით იზიარებდა სხვათა წუხილს. ვინც მუდამ სწავლობდა, ახლის ძიებაში იყო. უძლურებამოძალებულიც კი ცდილობდა, არ შეეწყვიტა ფიქრი და ყმაწვილთათვის გადაეცა მრავალი იდეა თუ სამომავლო ხედვა სხვადასხვა სფეროში, რადგან ეიმედებოდა და შვებას ჰგვრიდა ახალგაზრდობა და ახალგაზრდები.

გონებაში უამრავი ფიქრი ირევა, ძნელია, რამდენიმე სიტყვაში ჩაატიო და გადმოსცე ის ემოცია, დაახასიათო თუ დახატო მისი პიროვნება. უყვარდათ და ემადლიერებოდნენ. ამ სიყვარულის მიზეზი ისევ და ისევ მისი ხასიათი იყო. გულწრფელი ცრემლით და თბილი სიტყვებით დაიტირა და გააცილა დიდმა თუ პატარამ უკანასკნელ გზაზე.

გოდერძი ჩოხელის სიტყვები მახსენდება: ''სიცოცხლე ადამიანად ყოფნის სევდაა, სიკვდილი _ ადამიანად არყოფნის სევდაა''. ახლა უკვე თვითონ გახდა ადამიანად არყოფნის სევდის ბინადარი და სააქაოს შეგროვილი დარდებიც გაიყოლა ზეციურ საქართველოსკენ...

''ოხ, რა უცებ ჩაიარა წლებმა,
ოხ, რა უცებ შეივერცხლა თმები,
ოხ, რა ძნელი გახდა მარტოობა,
ოხ, რა რიგად ნატრული ვარ შენი,
ოხ, რა უცებ ჩამოთოვა ციდან,
ოხ, რა უცებ დაინისლა მთები,
ოხ, რა უცებ ატყდა ქარიშხალი,
ოხ, რა უცებ დაიკეტა გზები''.

დაიკეტა ხილული გზები, მაგრამ მე ბედნიერი ვარ იმით, რომ მჯერა სულთა კავშირის და ის, რომ მიწა არასოდეს წყვეტს კავშირს ზეცასთან, რომ სული უკვდავია და მარადიული.

მრავალგზის შევთხოვ უფალს, რათა ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროთ მრავალმოწყალე ღმერთმა, თამარ მასწავლებელო!

გოგიტა გიორგაძე

ვაშინგტონი _ ეპიზოდი''

საკვირველია, თუმცა ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი _ ვაშინგტონი ერთადერთი დიდი ქალაქია ქვეყანაში, სადაც ამ ზესახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ცათამბჯენები არ არის წამომართული. საქმე იმაშია, რომ 1910 წელს ხელისუფლებამ მიიღო აქტი, რომლის თანახმადაც ვაშინგტონის ტერიტორიაზე არ შეიძლებოდა აგებულიყო კაპიტოლიუმზე (აშშ-ის კონგრესის შენობა) მაღალი შენობა. აღნიშნული აქტიდან გამომდინარე, რომელიც დღესაც მოქმედებაშია, არქიტექტორები ვალდებული არიან მშენებარე ობიექტების სიმაღლის ლიმიტი აკონტროლონ. ლიმიტი კი 40 მეტრს, ანუ 12 სართულიანი სახლის სიმაღლეს წარმოადგენს. ერთადერთი ნაგებობა, რომელიც კაპიტოლიუმს სიმაღლით აღემატება, ვაშინგტონის სიმბოლოდ ქცეული 169 მეტრი სიმაღლის მქონე მონუმენტია. იმას, რომ ვაშინგტონი ტიპიურ ევროპულ ქალაქებს ჩამოჰგავს, დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქის პირველ არქიტექტორს, ეროვნებით ფრანგ არქიტექტორს _ პიერ ჰარლემ ლანფანს, რომელმაც მის სამშენებლო გეგმაში პარიზისათვის დამახასიათებელი ნიუანსები შეიტანა. აქვე შეგახსენებთ იმასაც, რომ აშშ-ის დედაქალაქი ერთადერთი ქალაქია ამერიკისა, რომელსაც ქალაქის მერი არ ჰყავს, რადგან დედაქალაქს თავად პრეზიდენტი განაგებს.

''დამზადებულია...''

მარკირება, სახელწოდებით _ ''MADEIN...'', ანუ ''დამზადებულია...'' _ დიდ ბრიტანეთში იქნა გამოგონებული 1887 წელს. თავდაპირველად ბრიტანელებმა მარკირება _ ''დამზადებულია გერმანიაში'', გერმანული წარმომავლობის მქონე იმპორტულ პროდუქტებზე გამოიყენეს. ისინი ვარაუდობდნენ, რომ, როდესაც ბრიტანელი მოქალაქე ამა თუ იმ პროდუქტზე წაიკითხავდა წარწერას _ ''დამზადებულია გერმანიაში'', თავს შეიკავებდა მისი შეძენისაგან, რადგან უპირატესობას ადგილობრივ ანალოგიურ პროდუქტს მიანიჭებდა. თუმცა ''ნისლიან ალბიონელების'' გათვლები არ გამართლდა, რადგან მარკირება _ ''დამზადებულია გერმანიაში'', მათთვის მოულოდნელად, მაღალი ხარისხის აღმნიშვნელ ერთობ პოპულარულ სიმბოლოდ იქცა.

MADE IN

ზინა ტორონჯაძე-კრავეიშვილის გახსენება

ჩემო საყვარელო დაუვიწყარო, ტკბილად მოსაგონარო დედა. ორმოცი სევდიანი დღე გავიდა რაც ჩვენგან წახვედი და იმიერში დაიდე ბინა შენს საყვარელ შვილ ჟანისთან და მეუღლესთან. შენთან განშორება იმაზე მტკივნეული აღმოჩნდა ვიდრე ეს წარმოგვედგინა.

ადრეულ ასაკში დაქვრივებულმა ქალმა ორი შვილი აღგზარდე შენი შრომით, სიცოცხლის ბოლომდე იღვწოდი ოჯახისათვის.

შენს მიერ პატიოსნად განვლილი ცხოვრების დიდი გზა მუდამ სამაგალითო იქნება შენი მონაგარისათვის. არასოდეს დაგივიწყებენ შენი შთამომავალნი და ტკბილად მოგიგონებენ მუდამ.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სპეტაკი სული.

შენი ანწულა

შობა ჯადოსნური სანახაობით

თეა ბაბუნაშვილი

უკვე მეექვსე შობაა, კახი კალაძის მიერ დაფინანსებული საკონცერტო სანახაობით ქართული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები რომ ულამაზებენ სამტრედიელებს ამ საოცარ დღეს. ვაგზლის წინა მოედანი ერთი ნაწილი გახლავთ საახალწლოდ გაკოპწიებული სამტრედიის. ადრიანად დაიწყო ღონისძიება. წინა წლებისგან განსხვავებით, თავდაპირველად, სამტრედიელი ახალგაზრდები ავიდნენ სპეციალურად მოწყობილ სცენაზე. ჯგუფები: ‘‘ლადი’’, ‘‘იქსი’’, ‘‘ჩანგი’’, ‘‘ალილო’’, ვოკალური ანსამბლი ‘‘იმედი’’, ვაჟთა ანსამბლი ‘‘სამტრედია’’, ქორეოგრაფიული ანსამბლები: ‘‘სამტრედია’’, ‘‘ლილე’’, ჯგუფი ‘‘ფანტაზია’’, ლამრი თევზაძე ცეკვა-სიმღერით ულოცავდნენ შობა-ახალ წელს თანაქალაქელებს. პროგრამის მომზადება საკუთარ თავზე მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურმა აიღო. იქვე მოწყობილი ათასი გასართობი, სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნახატების, ხელთნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა ამრავალფეროვნებდა ემოციებით დატვირთულ იმ დღეს.

მოსაღამოვდა და ათასფერად ანთებული ქალაქი საახალწლო განწყობით გრანდიოზული საკონცერტო საღამოსთვის მზადებას შეუდგა. კიდევ და

კიდევ უფრო ემატებოდა ხალხი ისედაც ავსებულ მოედანს. და განა მხოლოდ ახალგაზრდები, შუახნის ასაკის სამტრედიელებიც ბლომად იყვნენ. ფხიზელი თვალი უცხო სახეებში სტუმრებსაც მრავლად შეიცნობდა. შობისთვის სამტრედიაში ტრადიციადქცეულ კონცერტებს არა მხოლოდ მეზობელ რაიონებში, კიდევ უფრო შორს გავარდნია სახელი და არც აჭარა აკლდა სამტრედიას იმ საღამოს,

არც ტყიბული და არც სხვა რაიონები. არაფერს ვამბობთ ხონსა და ვანზე.

სცენაზე კი უკვე ტრადიციად ქცეული კონცერტის წამყვანები, ამიკო და ფაქო აღნიშნავდნენ, რომ წელს მეექვსედ იწყებოდა სანახაობა, ნამდვილ საშობაო საჩუქრად რომ იქცევა ხოლმე სამტრედიისთვის. ჯგუფი ‘‘სახე’’, ‘‘ქუჩის ბიჭები’’, ‘‘გუფი ლენდი’’, ანსამბლი ‘‘მეტეხი’’, მათთან ერთად სოფო ბედია, ელენე მიქიაშვილი, გიგა პაპასკირი დაუვიწყარ საღამოს ჰპირდებოდნენ შეკრებილებს.

გარდა მომღერლებისა, სხვა საპატიო სტუმრებიც ჰყავდა სამტრედიას. არაერთ პარლამენტართან ერთად აქ იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე, აჭარის მთავრობის წარმომადგენლები.

მშობლიურ ქალაქში უკვე დედაქალაქის მერის სტატუსით იმყოფებოდა კახა კალაძე. ამის გამო, როგორც სცენაზე გამომსვლელებმა არაერთგზის აღნიშნეს, ეს საღამო თამამად შეიძლებოდა ამ ორი ქალაქის განსაკუთრებული მეგობრობის საღამოდაც ჩათვლილიყო.

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი გია მიქელაძე ახალ წელს ულოცავდა სამტრედიელებს: ‘‘წარმატებების, მეგობრობისა და ერთგულების წელი დამდგარიყოს. ყველას ოჯახში შეეღწიოს სითბოსა და ოჯახურ კეთილდღეობას.’’

მუნიციპალიტეტის მერი ვალერი ფოცხვერია სტუმრებს მასპინძლობდა. საახალწლო მილოცვაში კი სამტრედიელებს უსურვებდა: ‘‘ხვავი და ბარაქა თქვენს ოჯახებს, გამრავლება, გახარება და საუკეთესო სურვილების ასრულება.’’

საუკეთესო სურვილებით მიულოცეს ახალი წელი სამტრედიელებს სტუმრად ჩამოსულმა იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ და მისმა პირველმა მოადგილემ, პაატა ნადირაძემ.

გრანდიოზული ფოიერვერკი საკონცერტო სანახაობის დასასრული გახლდათ. ათასფერად ანთებულ ცაზე ათასი ოცნება აენთო 2018 წელს ასასრულებელი. გასული შობიდან შემონახული, მომავალ შობამდე შემოსანახი ემოციები ოვაციებად დაიღვარა. სტუმრებმა სამტრედიას და სამტრედიამ სტუმრებს კვლავ შეხვედრის მოლოდინით ბედნიერი წელი დააბედა.

ვულოცავთ!

ნინო ნანიტაშვილს!

საზოგადოებრივად საოცრად აქტიურ ქალბატონს, ნიჭიერ ჟურნალისტს, ჩინებული ოჯახის დიასახლისს დაბადების დღეს გილოცავენ კოლეგები.

იხარე და იდღეგრძელე!

‘‘სამტრედიის მაცნე’’

ეკა ცომაიას!

დაბადების დღეს გილოცავთ, უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს, იხარე და იდღეგრძელე შენს ზიკოსთან და ნინისთან, კეთილისმყოფელებთან ერთად.

წარმატებები, ბედნიერება მოეტანოს შენთვის ახალ 2018 წელს.

‘‘სამტრედიის მაცნე’’

ზიკო ჯინჭარაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ კედლებში დავაჟკაცებულ პერსპექტიულ ახალგაზრდას. ულევი სიხარული, ოჯახური სითბო და სიყვარული მოეტანოს ახალ წელს შვილის მომლოდინე ზიკო ჯინჭარაძისთვის.

‘‘სამტრედიის მაცნე’’



თამუნა ჯინჭველეიშვილს!

დაბადების დღეს გულწრფელად გილოცავთ, ნიჭიერ, მარადის ახლის მაძიებელ გოგონას. შენი წარმატებებით გვეამაყოს ჩვენ და საქართველოს.

უფალი გმფარველობდეს!

‘‘სამტრედიის მაცნე’’

ტატო ჩაბრაძეს!

3 წლის წინ, 3 იანვარს მოევლინე ამქვეყანას, ჩემო პატარა ვაჟკაცო ტატო. ჩვენი ოჯახის დიდო იმედო, ოქროს დაბადების დღეს გილოცავ ბებიკო, ვერცხლისწყალივით მოუსვენარო, ქართულ-ფრანგულ ენაზე მოსაუბრე ენატიკტიკავ. დაე, ჩიტივით გეჭიკჭიკოს, ქარივით გენავარდოს, მზე და სინათლე არ გამოგლეოდეს გულსა და თვალებში, სამშობლოს სამსახურად მგლის მუხლი დაგყოლოდეს, თავმდაბალი და სამართლიანი, ღვთის მოშიში და ადამიანთა სადარდელ-გასახარელის გულთან მიმტანი, უფროს-უმცროსის მცნობი და პატივისმცემელი, ცოდნის მაძიებელი... სხვათა ნიჭისა და გულის დამფასებელი, მაგრამ საკუთარ ღირსებათა მცოდნე და გამომყენებელი გაზრდილიყავი.

აი, რამდენს გთხოვ, ბებო, საყვარელო, ჩემო მზეგულავ!

იუბილეს გილოცავთ ტატო, გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი. დედიკოს, მამიკოს, ბებოებისა და ბაბუას გულების გასახარად!

შენზე მლოცველი გულიკო ბებო

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა